045
1967



# საბჭოთა ქალი

ივნისი
№ 6 1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვობავ, ძვირფასო,
შენ გიყვარს ოცნება,
ეგ დიდი მიზნებიც
შორს გაგეტყორცნება.

შენ სწავლობ,
შენ შრომობ,
რომ ირგვლივ, გარშემო
ცხოვრება მაღალი
აშენო, ამშვენო.

დე, ფრთები შეესხას
შენს ლამაზ ოცნებას,
შენს ლამაზ გზას ვლოცავთ
შორს რომ იტყორცნება!

ფოტოეტიუდი ი. თავდუმაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაბლო პიკასო
გოგონა მტრედით

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

10.385

ვიქტორია სირაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე.

ბავშვები დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედ ნაწილს შეადგენენ. ყოველ წამში დედამიწაზე ჩნდება ახალი სიცოცხლე. ეს ერის მომავალია, მთელი კაცობრიობის იმედია. სწორედ ამიტომ ბავშვთა დაცვის დღეს პროგრესული კაცობრიობა ხმას იმაღლებს და მთელი ძალღონით მოითხოვს მშვიდობის შენარჩუნებას, რომ უნისლო იყოს ბავშვების ცა. პროგრესული კაცობრიობა, დედები და მამები მშვიდად ვერ იქნებიან, სანამ საერთაშორისო დაძაბულობა სულ უფრო მწვავდება და საშიში ხდება, სანამ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებს გამალებული შეიარაღება, სანამ იქ მილიონობით ბავშვი მოკლებულია ნამდვილ ბავშვობას. სწორედ ამიტომ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელები ცხადყოფენ თავიანთ ურყევ გადაწყვეტილებას — დაიცვან მშვიდობა, დაიცვან ბავშვების სიცოცხლე და კაცობრიობის მომავალი.

ამჟამად მსოფლიოს ხალხები გადაჭრით გმობენ ამერიკელი აგრესორების მიერ წარმოებულ ბინძურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, რომლის შედეგად კვლავ იღუპებიან ბავშვები, პატიოსანი ადამიანები, ინგრევა ქალაქები და სოფლები.

საბჭოთა კავშირის ხალხები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი აქტიურად უჭერენ მხარს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ყველა აქციას ვიეტნამის დედებისა და ბავშვების დასაცავად. ისინი სიტყვითაც და საქმითაც უცხადებენ სოლიდარობას ვიეტნამელ ხალხს წმიდათაწმიდა ბრძოლაში; აქტიურად უჭერენ მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირსა და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში ბავშვთა აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. აქ ბავშვები საყოველთაო ზრუნვით არიან გარემოცულნი. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, განათლებისა და აღზრდისათვის საბჭოთა მთავრობა ხარჯავს უამრავ თანხას. სკკპ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ თითოეული ბავშვისათვის ბედნიერი ბავშვობის

უზრუნველყოფა ეს კომუნიზმის მშენებლობის ერთერთი დიდმნიშვნელოვანი და კეთილშობილური ამოცანაა. საბჭოთა კავშირში შექმნილია ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების, მათი ნიჭის გამოვლინების ყველა პირობა. კერძოდ, საბჭოთა განათლების სისტემის მიზანია აღზარდოს ახალი საზოგადოების ადამიანი, დიდად განათლებული, შრომისმოყვარე, ჰუმანური ადამიანი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს ბედნიერი მომავლის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირში ბავშვების განკარგულებაშია სკოლები, პიონერთა სახლები და სასახლეები, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, სანატორიუმები, სტადიონები და სასპორტო მოედნები, პარკები და რკინიგზები. გამაჯანსაღებელი და საექსკურსიო-ტურისტული ბაზები.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვი დაბადებულიც არ არის, რომ სახელმწიფო უკვე ზრუნავს მისთვის. სპეციალური კანონები იცავენ ქალის ჯანმრთელობას ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა იგი ემზადება დედობისათვის, ეს მზრუნველობა გრძელდება შემდეგაც, როცა ქალი არის უკვე დედა, მომავალი მოქალაქის ერთერთი მთავარი აღმზრდელი. ქალი იღებს ანაზღაურებულ შვებულებას, კვალიფიციურ სამედიცინო და სხვა დახმარებას, ხოლო ბავშვებს ემსახურება ათეულ-ათასობით სპეციალური საკონსულტაციო პუნქტი, საბავშვო ბაგა, ბაღი და სხვა საბავშვო დაწესებულებანი. ასეთი დიდი ზრუნვის შედეგად სსრ კავშირი მსოფლიოში ბავშვთა ყველაზე დაბალი სიკვდილიანობის ქვეყანაა. 1918 წელთან შედარებით სიკვდილიანობის რიცხვი შემცირდა რვაჯერ და უფრო მეტად.

საბჭოთა კავშირში 214 ათასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც 48 მილიონი ბავშვი უფასოდ სწავლობს. მათ სწავლა-აღზრდას 2,5 მილიონზე მეტი სახალხო მასწავლებელი ემსახურება. გახანგრძლივებულ სკოლებსა და ჯგუფებში მეცადინეობს სამ მილიონზე მეტი მოსწავლე.

მეფის რუსეთში პირველი მსოფლიო ომის წინ მხოლოდ 215 საბავშვო ბაღი და მოედანი იყო 7 ათასი ადგილით. მიმდინარე წელს კი საბჭოთა კავშირში 8,5 მილიონი ბავშვი სარგებლობს საბავშვო ბაგებითა და ბაღებით. მარტო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სსრ კავშირში აშენდა ათასზე მეტი ქალაქგარეთა პიონერული ბანაკი. მოქმედებს პიონერთა 3409 სახლი და სასახლე, 397-ზე მეტი ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, 288-მდე ნორჩ ნატურალისტთა სადგური, 184-მდე საბავშვო პარკი, 184 საექსკურსიო-ტურისტული სადგური, ათასობით საბავშვო თეატრი, ბავშვებისათვის გამოდის 25 გაზეთი, აგებულია 33 ბავშვთა რკინიგზა.

ბევრი რამ გაკეთდა ბავშვებისათვის ჩვენს რესპუბლიკაშიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არც ერთი საბავშვო ბაგა არ იყო, ახლა კი 534 ბაგაა. 1914 წელს ჩვენში იყო მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი, ახლა კი 1018-მდე საბავშვო ბაგა-ბაღია. ბავშვთა ჯანმრთელობის გაკაჟებას ემსახურება 26 ბავშვთა სანატორიუმი, რამდენიმე ათეული ბავშვთა საავადმყოფო და პედიატრიული დაწესებულება.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ყველა სახეობის 4685 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 927800 მოსწავლე. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურება 69 ათასამდე მასწავლებელი. 1914-1915 სასწავლო წელს საქართველოში 1765 სკოლაში სწავლობდა 157 ათასი მოსწავლე და ასწავლიდა 6 ათასამდე მასწავლებელი.

ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სავალდებულო რვაწლიანი სწავლება. მიმდინარე ხუთწლედში ძირითადად დამთავრდება გადასვლა საყოველთაო-სავალდებულო სრულ საშუალო განათლებაზე.

ბავშვებისათვის, მათი ბედნიერებისა და მომავლისათვის ნამდვილი ზრუნვით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომლებიც ითვალისწინებენ ბავშვთა დაწესებულებების დიდ მშენებლობას. 1970 წელს ეს დაწესებულებები მიიღებენ 12,2 მილიონ ბავშვს. ხუთწლედში დასახულია აშენდეს 22 ათასზე მეტი ახალი სკოლა. ახალ ხუთწლედში დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს გაატარებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები. განხორციელდება ავადმყოფობათა პროფილაქტიკის ახალი ღონისძიებანი.

დიდ მზრუნველობას უწევენ ბავშვებს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნების მთავრობათა პირველი დეკრეტები, რომლებიც განმტკიცებული იყო სათანადო კონსტიტუციური აქტებით, ეხება დედისა და ბავშვის დაცვას. აღნიშნულ ქვეყნებში წლითიწლობით მატულობს საბავშვო დაწესებულებათა რაოდენობა, იზრდება მოსწავლეთა რიცხვი. დიდი ცვლილებები ხდება აგრეთვე იმ ქვეყნების ბავშვთა ცხოვრებაში, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის უღელი.

მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება მშრომელთა შვილებს კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში. იქ ბავშვები მოკლებული არიან ელემენტალურ საარსებო პირობებს, ისინი იღუპებიან შიმშილის, ავადმყოფობის, აუტანელი სამუშაო პირობების გამო. მსოფლიოს 600 მილიონი ბავშვი შიმშილობს და ავად არის შიმშილის გამო. 250 მილიონ ბავშვს საშუალება არა აქვს სკოლაში ისწავლოს. ისეთ დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ყოველწლიურად 100 ათასი ბავშვი ვერ შედის კოლეჯში, რადგან სწავლის ქირა მეტად მაღალია. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში კი სასკოლო ასაკის ბავშვების ნახევარზე მეტს არ გააჩნია საშუალება ისწავლოს. საბერძნეთში, რომელიც განთქმულია თავისი უძველესი კულტურით, ყოველწლიურად 50 ათასი ბავშვი არ დადის სკოლაში სიღარიბის გამო.

ამერიკის მთელ რიგ სამხრეთ შტატებში ადგილი აქვს რასისტთა თარეშს. ისინი ფერადკანიანი მოსახლეობის სასტიკი მტრები არიან, გზას უღობავენ მათ შვილებს სწავლა-განათლებისაკენ. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ადგილი აქვს ბავშვებით ვაჭრობას. ამერიკის 28 შტატში ბავშვებით ვაჭრობა ფაქტიურად ნებადართულია კანონით.

განსაკუთრებით მძიმეა ბავშვთა ხვედრი აფრიკის ქვეყნებში, სადაც ბავშვთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია; ათ ძუძუთა ბავშვიდან კვდება 8.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი თანხები იხარჯება იმისათვის, რომ მოიწამლოს ახალგაზრდობის შეგნება, აღიზარდოს იგი სხვა ხალხებისადმი მტრობისა და სიძულვილის სულისკვეთებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა და მოზარდთა გონების დასაჩლუნგებლად ფართოდ ნერგავენ რასიზმს, კაცთმოძულებას, პესიმიზმს. ეკრანებზე უჩვენებენ განგსტერულ ფილმებს, ფართო ტირაჟით უშვებენ ბულვარულ ლიტერატურას; ყოველნაირად ცდილობენ ბავშვის მოუმწიფებელ გონებასა და გულში ჩაკლან ყოველივე ადამიანური.

საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებში კი პირიქით, ბავშვები იზრდებიან ღრმა ჰუმანურობის, ხალხთა მეგობრობის, მშრომელი ადამიანისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

როგორც ცნობილია, 1959 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: ,,გენერალური ასამბლეა აცხადებს ბავშვის უფლებათა ამ დეკლარაციას, იმ მიზნით, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა და როგორც თავისი საკუთარი სარგებლობისათვის, ისე მთელი საზოგადოების სარგებლობისათვის უნდა გააჩნდეს უფლებანი და თავისუფლებანი". დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ბავშვებს, მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, რწმენისა, ენიჭებათ უფლება ჯანსაღი და ნორმალური განვითარებისათვის, უფასო განათლებისათვის; ენიჭებათ უფლება, დაიცვან თავი სიმკაცრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

ბავშვთა უფლებების დეკლარაციის ჰუმანური პრინციპების გატარება სწარმოებს მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ სახელმწიფოებში, ხოლო, რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იქ დეკლარაციის კეთილშობილური პრინციპები ლიტონ სიტყვად რჩება.

ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს პროგრესული კაცობრიობა, ყველა ქვეყნის დედები იმაღლებენ ხმას და მოითხოვენ ბავშვთა უფლებების დაცვას, ბავშვის უფლებათა დეკლარაციის განუხრელად გატარებას.

დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი, ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ნორჩი თაობის — კაცობრიობის ამ ხვალინდელი დღის, ჩვენი ცხოვრების სიხარულისა და მშვენების — ბავშვების მომავალი, შეუნელებლად იბრძვის მათი ნათელი, უღრუბლო მომავლისათვის. მთელი პროგრესული კაცობრიობა გადაჭრით გმობს ომს და იბრძვის მშვიდობისათვის, ჩვენი პლანეტის ყველა ბავშვის ბედნიერებისათვის.

ყველა ქვეყნის დედები მოითხოვენ არასოდეს არ განმეორდეს ჰიროსიმისა და ნაგასაკის, ოსვენციმისა და მაიდენეკის საშინელი ტრაგედია.

მსოფლიოს ყველა დედის სურვილია თავისი შვილის ბედნიერება. ისინი მოითხოვენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ალაგმვას გათავხედებული აგრესორებისა, რომლებსაც სურთ ატომური ომის გაჩაღება, მზის დაბნელება.

დაე, მუდამ იყოს მზე!

მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს! ბავშვთა დაცვა კაცობრიობის მომავლის დაცვაა.



ვ. ტოკარევი

ახალი სკოლა

## ლენინი—ოქტომბრის ბელადი

ნ. ვორონცოვა

# მძიმე წუთებში მე მას ვიგონებ

მოგონება

სანამ ვლადიმერ ილიას ძეზე დავწერდე, მინდა ვთქვა, თუ როგორ მოვხვდი სმოლნში, და რას ვფიქრობდი ბოლშევიკებზე.

ჩემი ქმარი ქარხანაში მუშაობდა და წითელგვარდიაში იყო. ოქტომბრის შემდეგ ის ლენინის დაცვაში იმყოფებოდა. ლენინს სჭირდებოდა სანდო ადამიანი, რომელიც მას საჭმელს დაუმზადებდა. ქმარმა ეს სამსახური მე შემომთავაზა, თუმცა იცოდა, რომ ბოლშევიკებს ანტიქრისტეებად ვთვლიდი.

ამის თაობაზე ქმართან ხშირად მქონდა დავა. მე მას ვეჩხუბებოდი, და სულ ვეუბნებოდი, სული ანტიქრისტეებს მიჰყიდე-მეთქი.

ერთხელ ქმარი მოვიდა, რათა სმოლნში წავეყვანე.

— სულელო, — მითხრა მან, — წადი და თვითონ ნახე ისინი.

დამიყოლია და დავთანხმდი.

მივედი სმოლნში. ამიხსნეს, თუ რა უნდა მეკეთებინა.

შემდეგ ვნახე ვლადიმერ ილიას ძე. თან მახლდა ყავარჯნებიანი ექვსი წლის გოგონა. მას ფეხი თაბაშირში ჰქონდა.

— რა გქვია, შვილიკო? ფეხზე რა დაგემართა? — ჰკითხა ვლადიმერ ილიას ძემ. მე ხელი გამომიწოდა და შემეკითხა:

— თქვენ ამხანაგ ვორონცოვის მეუღლე ხართ?

ისე ვუპასუხე, თვალებში არ შემიხედავს.

ვლადიმერ ილიას ძეს ყოველდღე ვხვდებოდი. არასოდეს ჩაივლიდა ისე, რომ გოგონასათვის ტკბილი სიტყვა არ ეთქვა, ხან მიეფერებოდა, ხან კამფეტს ამოიღებდა, ხან ნამცხვარს, და ეტყოდა:

— შენთვის ვინახავდი, ჭამე, ტანია!

მასთან ვლადიმერ ილიას ძე ხშირად თამაშობდა, მიიყვანდა ტელეფონთან და ეტყოდა:

— ტანია, შენ აქ უსმინე.

თვითონ კი ავიდოდა მესამე სართულზე და ზემოდან ურეკავდა გოგონას ტელეფონით.

ერთხელ ასეთი შემთხვევაც იყო: მე თხუთმეტი კაცისათვის ვიღებდი პურს, თითოზე $^1/_8$ გირვანქას. შეცდომით ოცდახუთი კაცისათვის მომცეს. ეს შევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნე, მაგრამ, ვიფიქრე, დაგვჭირდება-მეთქი. გამახსენდა, ვლადიმერ ილიას ძე დღედაღამ მუშაობს, ჭამით კი თითქმის არაფერს ჭამს. როცა ჩაი და ბევრი პური მივუტანე, შევჩერდი, წასვლა დავაყოვნე. ვფიქრობდი, მადლიერი დარჩებოდა. ვლადიმერ ილიას ძე გაზეთს ათვალიერებდა, შეამჩნია ბევრი პური და მომიბრუნდა:

— ამხანაგო ვორონცოვა, რატომ მომიტანეთ ამდენი პური? ხომ ისევ 1/8 უნდა ყოფილიყო? სად იშოვეთ?

მან ისე შემომხედა, არ ვიცოდი სად წავსულიყავი. ვუთხარი, პურის გამყიდველი შეცდა-მეთქი.

— თქვენ ამაზე ნუ სწუხდებით. მათ ბევრი პური აქვთ, სავსე თაროები. მიირთვით.

— თქვენ ფიქრობთ, ამხანაგო ვორონცოვა, რომ მათ მხოლოდ ჩვენ ვყევართ?

მან ჩამოჭრა ზედმეტი პური.

— წაიღეთ და მეორედ ეს არ ჩაიდინოთ.

როგორ წამოვედი, არ მახსოვს. ვირწმუნე, რომ ის წმინდანი იყო. ვაპირებდი ქუჩაში გასვლას, სამლოცველოში შეხვევას და სანთლის ანთებას.

— ღმერთო, მაპატიე, რომ სხვაგვარად ვფიქრობდი ამ წმინდანზე, მაპატიე.

როცა პეტერბურგთან თეთრების ხროვა გაანადგურეს, ლენინი ჩვეულებისამებრ შემოვიდა სამზარეულოში ტანიას მოსაფერებლად. ის უფრო მხიარული იყო, ვიდრე სხვა დროს, ტანიას ნამცხვარი მისცა და უთხრა:

— ახლა, შვილიკო, შენ მალე მორჩები, ჩვენ სანატორიუმში მოგათავსებთ.

ვიფიქრე, ეს კარგი იქნება-მეთქი. გამბედაობა მოვიკრიფე და ვუთხარი:

— ვლადიმერ ილ ) ძევ, მაპატიეთ და არ გაბრაზდეთ. თქვენზე ადრე ვფიქრობდი, რომ...

და ვუამბე რას ვფიქრობდი ადრე ვლადიმერ ილიას ძეზე.

მან გაიღიმა, ხელი მხარზე დამადო და მითხრა:

— ამაში არა ხართ დამნაშავე. განა ცოტა რამეს ჩაგჩიჩინებდნენ. არა, ამაში, ამხანაგო ვორონცოვა, თქვენ არა ხართ დამნაშავე. თქვენზე არ ვბრაზობ. მხოლოდ იმ ფულით, რომელსაც სანთლებისათვის ხარჯავთ, თქვენს გოგონას რაიმე უყიდეთ. მას კარგი კვება სჭირდება. — მერე მოკლედ მიამბო, როგორ ატყუებდნენ უვიცი მღვდლები ადამიანებს, რისთვის სჭირდებოდათ სანთელი და თვითონ როგორ ცხოვრობდნენ.

დღემდე არ შემიძლია ვლადიმერ ილიას ძის დავიწყება. მახსენდება, რა კეთილი იყო, რა შთამაგონებელი თვალები ჰქონდა. და ყოველთვის, მძიმე წუთებში, მე მას ვიგონებ.

თარგმნა ლ. ფარცვანიამ




ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად

# ფაბრიკა და ეკონომისტები

საწარმოო ძალების გიგანტურმა განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში და უმნიშვნელოვანესმა ძვრებმა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართო შესაძლებლობანი შექმნა წარმოების ზრდისა და ცხოვრების დონის მკვეთრი აღმავლობისათვის. ასეთ პირობებში დაგეგმვისა და სტიმულირების ძველი ფორმები და მეთოდები ვეღარ პასუხობდა სადღეისო ამოცანებს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების თანამედროვე დონემ, ტექნიკური განვითარების ახალმა ამოცანებმა და წარმოების თანამედროვე სტრუქტურამ სამეურნეო რეფორმის გატარება ობიექტური აუცილებლობით მოითხოვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმმა დასაბამი მისცა ამ რეფორმას.

...თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში რეფორმაზე გადასასვლელი მზადება 1965 წლის ბოლოდან დაიწყეს. ადვილი არ ყოფილა პირველი ნაბიჯები. ზოგი ეჭვის თვალით უყურებდა ამ სიახლეს. მაგრამ ყოველი დღე თვალნათლივ ამტკიცებდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სისწორეს.

ფაბრიკის კოლექტივი ამ პასუხსაგებ მომენტში მარტო არ ყოფილა. რეფორმის პრაქტიკული გატარებისას საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს მხარში ედგნენ რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები, საგეგმო კომისიის, კვების მრეწველობის სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელები. მუშაობის ძირითადი სიმძიმე მაინც საწარმოს ხელმძღვანელობასა და განსაკუთრებით ფაბრიკის წამყვან ეკონომისტებს — შ. ჯიმკარიანს, მ. შოთაძესა და ჟ. ტანასეიჩუკს დაეკისრათ.

— სამეურნეო რეფორმის გატარებამ, — ამბობს ფაბრიკის დირექტორი მ. სარჯველაძე, — მთელ კოლექტივს ახალი პასუხსაგები ამოცანები დაგვაკისრა. ყველაფერი, რაც სასარგებლო და მომგებიანია მთლიანად საზოგადოებისათვის, სასარგებლო და მომგებიანი უნდა გავხადოთ ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საწარმოს კოლექტივისათვის, თითოეული მშრომელისათვის. რეფორმის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზმის პირობებში ჩვენი მეურნეობის წარმართვის პრაქტიკა მაქსიმალურ შესაბამისობაში მოვიყვანოთ სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოთხოვნებთან. ავამოძრაოთ აგრეთვე, ჩვენი მდიდარი რეზერვები და უნარიანად გამოვიყენოთ სოციალიზმის გეგმიური ეკონომიკის უპირატესობა.

რეფორმამ ეკონომიური სტიმულირების საშუალებების გაძლიერებასთან ერთად პირველ რიგში გამოიწვია დაგეგმვის მეთოდების გაუმჯობესება. ამან განაპირობა საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებლის — საერთო პროდუქციის შეცვლა რეალიზებული პროდუქციის მოცულობით. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საერთო პროდუქცია აღარ იყო საწარმოს მუშაობის სრულფასოვანი მაჩვენებელი, რადგან იგი სათანადო სტიმულს არ ქმნიდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ორიენტაციას არ აძლევდა საწარმოს გამოეშვა ისეთი ნაწარმი, რომელიც ნამდვილად სჭირდებოდა სახალხო მეურნეობას. ახალი წესის



მიხედვით თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში დამტკიცდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურა, ხელფასის ფონდი, მოგებისა და რენტაბელობის თანხა.

გეგმის სხვა მაჩვენებლები, რომლებიც რეფორმამდე საწარმოს ცენტრალიზებული წესით ზემოდან ეძლეოდა, მაგალითად, საერთო პროდუქციის მოცულობა, შრომის მწარმოებლობის მაჩვენებლები, მუშაკთა კონტიგენტი, საშუალო ხელფასის სიდიდე და სხვა ამჟამად თვით ფაბრიკაში იგეგმება ზემდგომი ორგანოების ჩაურევლად.

სამეურნეო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოგებისა და სხვა ეკონომიური სტიმულების გაძლიერებით წარმოების მუშაკთა დაინტერესება, როგორც ინდივიდუალური შრომის, ისე საწარმოს მთელი მუშაობის შედეგებით.

ახალ პირობებში მოგების უდიდესი ნაწილი რჩება ფაბრიკაში ისეთი სპეციალური ფონდების შესაქმნელად, როგორიცაა მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და წარმოების განვითარების აკორდები.

ფაბრიკაში ახლა მოქმედებს პრემირების ახალი წესი, რომლის მიხედვითაც ერთიორად გადიდდა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემიის ფონდი, ხოლო მუშებისა — ოთხჯერ და უფრო მეტად. საწარმოში თითოეული მუშაკის ხელფასი საშუალოდ 20 მანეთით გაიზარდა. ყველამ — რიგითი მუშიდან დირექტორამდე — მიიღო მნიშვნელოვანი მატერიალური წახალისება, რამაც კიდევ უფრო დააინტერესა წარმოების თითოეული მუშაკი თავისი შრომის საბოლოო შედეგებით. დღეს ფაბრიკაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ძირითადი და დამხმარე მასალების ყაირათიანად გამოყენებისა და ტექნიკურ სიახლეთა დასანერგავად, სადაც წამყვან როლს წარმოების მოწინავე მუშა ქალები გ. კიკაჩეიშვილი, მ. ადამაშვილი, ს. ნინიაშვილი, ც. შარაშიძე, ნ. ტურძელაძე, მ. ნადირაძე და სხვები ასრულებენ.

რეფორმამ შეცვალა აგრეთვე წარმოების რენტაბელობის გაანგარიშების წესი, ახლებურად დააყენა დაფინანსებისა და დაკრედიტების საკითხი, გააფართოვა საწარმოს სხვა უფლებანი.

ფაბრიკაში, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ყველა მუშაკმა გაიგო, რომ მიმდინარე სამეურნეო რეფორმა თავისი ხასიათითა და ძირითადი პრინციპებით განსხვავდება იმ გაუთავებელი რეორგანიზაციებისაგან, რაც ხდებოდა უკანასკნელ ათ წელიწადში. მაგრამ თითოეულმა მუშამ ისიც კარგად გაიგო, რომ ამ რთული და უდიდესი სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისას ხელის ერთი დაკვრით შეუძლებელია ზედმეტი ხარჯებისაგან თავის დაღწევა, შემორჩენილი ბიუროკრატიული ნაკლოვანებებისაგან თავის არიდება. ამიტომ თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის ყოველი მუშა-მოსამსახურე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება რეფორმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას.

მუშაობის ახალ პირობებზე გადასვლის შემდეგ ფაბრიკამ 1966 წლის მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა 105,6 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 632 ტონა პროდუქცია. ფაბრიკაში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 103,5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება კი 73,5 ათასი მანეთით შემცირდა. პროდუქციის რეალიზაციის გასული წლის გეგმა ფაბრიკამ 107,6 პროცენტით შეასრულა, მოგების სახით მიიღო 3 მილიონ 623 ათასი მანეთი.

რეფორმის გატარებამ წარმოების მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფასთან ერთად, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ქართული ჩაის ღირსებაზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ და წერენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. რეფორმამ მოქნილი გახადა და განამტკიცა თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაზარდა მატერიალური და მორალური სტიმულების როლი საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ ყველა დავალებათა შესრულებისას, რამაც ახალი ფართო შესაძლებლობანი შექმნა საქართველოს ჩაის მრეწველობის განვითარებისათვის.

ახალ პირობებში ფაბრიკის ადმინისტრაციამ კარგად შეიგნო, რომ წარმატების მიღწევა დღეს ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიური მეთოდების უნარიან გამოყენებაზე, სწორ ხელმძღვანელობაზე. წარმოების ყველა მუშაკის მიერ სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვისა და ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფის გარეშე დღეს შეუძლებელი ხდება სამეურნეო წარმატებების მოპოვება.

მაგრამ, რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სავსებით აღმოფხვრილი არ არის სიახლის გამო შიში, კადრების არაკომპეტენტურობა. ჯერ კიდევ ვხვდებით უპასუხისმგებლობას, ზოგჯერ ირღვევა სახელმწიფოებრივი დისციპლინა. საწარმოში დაგროვილი უზარმაზარი რეზერვების უნარიანი გამოყენება ფაბრიკის ადმინისტრაციისაგან მოითხოვს სერიოზულ მუშაობას მუშა-მოსამსახურეთა კომუნალური და საბინაო საკითხების გადასაჭრელად, 5-დღიან სამუშაო კვირაზე გადასასვლელად, ტრანსპორტით მომსახურების პრობლემის მოსაგვარებლად.

რეფორმა სოციალიზმის მდიდარ შესაძლებლობებს ხორცს ასხამს და სინამდვილედ აქცევს. მაღალი პარტიული შეგნებულობა, მეცნიერული მიდგომა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო საკითხებისადმი, პრინციპულობა — აი, რა არის დღეს, საიუბილეო წელს, თითოეული სამეურნეო მუშაკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

**ა. აბესაძე,**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,

**რ. გოგოხია,**

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მიხეილ მრევლიშვილი

# სტეფანე პაპას ზიზიები



ნ ო ვ ე ლ ა

მხატვარი ლ ა მ ა რ ა ქველიძე

ძალიან ადრე გაეღვიძა სტეფანე პაპას. ჯერ კიდევ ბნელოდა და გარშემო ჩქამიც არ ისმოდა.

— ფუი, ჩემ გაჩენას, — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა და ამოიოხრა.

ასე დასჩემდა ამ ბოლო დროს: გაიღვიძებდა უთენია. წამოიწევდა საწოლიდან. გადმოჰყრიდა თბილი ლოგინიდან გამწლიკულ წვივებს ცივ იატაკზე. ფეხის ცერებით მოსძებნიდა ფლოსტებს. წამოდგებოდა ხვნეშით და წაფარფატდებოდა საცვლების ამარა საჭირო ოთახში. მერე ისევ დაუბრუნდებოდა საწოლს, წამოჯდებოდა ლოგინზე და გაუშტერდებოდა წყვდიადს.

გასწვრივ კუთხეში შვილიშვილს ეძინა, უფროსი ვაჟის პირმშოს, მეზობელ ოთახში — სტეფანეს ვაჟს, რძალს—ვაჟის ცოლს და მეორე შვილიშვილს — პატარა მეტიჩარა ლელას.

ლელა სტეფანეს ნებიერი იყო, უფროსი ნოდარიც, მაგრამ ლელა სულ სხვა იყო მაინც. ძალიან პატარა, ტიკტიკა და ჩასაყლაპავი. თანაც მოხუცის მოკავშირე ჩუმსა და დაძაბულ ოჯახურ ბრძოლაში. ვინ ვის ებრძოდა, კაცმა არ იცოდა, მაგრამ ოჯახი მაინც ოჯახია, და სიამტკბილობასთან ერთად მწარეც ერეოდა ტკბილს.

ლელა ვერც იმას ამჩნევდა, თეთრწვერა პაპა რომ დაბერდა და ვერც იმას, რომ, რაკი დაბერდა, ძველი ავეჯივით, ყველას ფეხებში ედებოდა. დედა ჯავრობდა და ხანდახან იწყევლებოდა კიდეც, მაგრამ ლელასთვის ამას არავითარი მნიშვნელობა და ფასი არ ჰქონდა. ცნობისმოყვარე გოგონასთვის ისიც საკმარისი იყო, რომ სტეფანე პაპამ ჩიორას ზღაპარი ზეპირად იცოდა და მონადირეს, რომელმაც საბრალო ჩიტს ოთხივე ბარტყი დაუბრუნა, პირადად იცნობდა. პაპამ დევებისაც ბევრი რამ იცოდა, და, ალბათ, ყოვლის შემძლე იყო.

მოიხელთებდა ოქროსთმიანი ანგელოზი დროს, მიცუნცულდებოდა სტეფანესთან, დაებღაუჭებოდა შარვლის ტოტზე, აუცოცდებოდა მუხლებზე, ჩაუჯდებოდა კალთაში, ალერსიანად გადაუვარცხნიდა პაწია თითებით თეთრად გადაპენტილ თმებს და ისე ტკბილად გაუღიმებდა, ისე კოხტად და ეშმაკურად, რომ მოხუცს ცრემლს მოჰგვრიდა თვალზე.

ამ ბოლო დროს ცრემლი შეეჩვია მოხუცს და არც თუ უმიზეზოდ. სტეფანესათვის ადამიანთა საკრებულო მუდამ ორ რიგად იყოფოდა: მონებივრენი, ვისზედაც ზრუნავდნენ, და მანებივრალნი, ვინც მათზე ზრუნავდა. სტეფანე პაპაც მანებივრალთა რიგში იდგა. ყველაფერი, რაც კი ჰქონდა, მოყვასზე ზრუნვას შეალია და დარჩა ახლა აი ასე, მეტიჩარა ლელას ამარა.

ერთხელ ლელამ ფერად წიგნში, უცხო რამ სურათს მოჰკრა თვალი. დაინტერესდა, დააკვირდა და სტეფანეს მიურბენინა.

დაჰხედა სტეფანემ სურათს და შვილიშვილს აუხსნა·

— ბუ, პაპა, ბუ!

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ეშმაკმა გოგონამ თავის მოხუცს „პაპაბუ“ შეარქვა.

დედა გაუჯავრდა შვილს: — ასე ნუ ეძახი პაპას, ეწყინება და იტირებსო.

სტეფანემ იხელთა დრო და რძალს გადაუკრა: — შენ ნუ შემარქმევ, შვილო, ბუს,და ლელასთან მოვრიგდებით.

ახლა, საწოლზე უნიათოდ წამომჯდარსა და წყვდიადს თვალმიპყრობილ მოხუცს გაახსენდა რატომღაც ეს ამბავი და გულიანად ჩაიხითხითა. სიცილს ხველა მოჰყვა, უცაბედი და მოულოდნელი.

სტეფანე შეკრთა. ყელში ხრიალით მოჰგუდა ხველება და შემპარავად მიმოიხედა. წყვდიადი შეურხევლად იდგა. გასწვრივ ნოდარი მშვიდად სუნთქავდა. მეორე ოთახიდანაც არა ისმოდა რა. იქაც ეძინათ. გულს მოეშვა. თავისუფლად ამოისუნთქა.

რძლისაგან ნაბრძანები ჰქონდა: — დილაადრიან ბორიალს და ბაკაბუკს თავი დაანებე, შენ თუ არ გეძინება, ჩვენ ნუ გვაღვიძებ და ძილს ნუ გვიფრთხობ. ან ჩვენ შეგვიბრალე, ან ბავშვებიო.

რა უნდა ეპასუხნა ამაზე სტეფანეს. მართალი იყო ქეთევანი. ვისი რა ბრალი იყო მართლაც, რომ თვალს რული არ ეკარებოდა და ღამის წყვდიადი და სტეფანე ასე პირისპირ ხვდებოდნენ ერთმანეთს ყოველ ცისმარე დღეს.

სტეფანეს შესცივდა და საწოლზე მჯდომარემ საბანი წამოიხურა. ბოსტნის საფრთხობელასავით აიზიდა ოთახის სიბნელეში უცნაური ლანდი.

— არა, რა სადაა ვითომ ეს ცხოვრება ერთი შეხედვით და კაცი რომ კარგად ჩაუფიქრდეს, რა დახლართულია მაინც, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და თავის ფიქრს მიჰყვა.

„საწყალი ჩემი სიდონია, გაიღვიძებდა ღამით, მომიჩოჩდებოდა ახლო, — „სიბნელისა მეშინიაო“, — ახლა, უბედური, სულ სიბნელეშია და აღარაფრის ეშინია. დამიჟინებდა: — „ვერ წარმომიდგენია უჩემოდ ეს ქვეყანა და, როგორ შეიძლება ამ ქვეყანას არ ვუყუროო“. — ახლა კი, აი, ექვსი წელიწადია სიდონია არაფერს არ უყურებს და ეს ქვეყანა მაინც ტრიალებს, როგორც ტრიალებდა წინათ, როგორც იტრიალებს მერე. განა კი თითონ არ იცოდა, იმ საცოდავმა, რა და როგორ, მაგრამ რა ექნა, სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ჟინი აქეზებდა, ეგ რომ არა, ადამიანი ქვეყანაზე არ იცოცხლებდა. კაცს ჟინი ათრობს და ატყუებს...“

სტეფანე პაპამ უცნაურად ამოიოხრა, თითქოს გუდავდა ყელში ოხვრას.

„ის საბრალო, შედარებით ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ერთში მაინც მაჯობა. ბიჭი მაშინ ცალკე ცხოვრობდა ოჯახით და სიდონიას დღეებს არავინ არ უთვლიდა. ამითი იყო ბედნიერი. მე კი აი, ჩემი რძალი, ასე მგონია, დღეებს კი არა, წუთებს მითვლის. იმის ფიქრშია როგორმე ჩქარა მომიშოროს. ბავშვებს მარიდებს. თავს იმართლებს: — „ახველებს და მეშინიაო“. ჭურჭელს მირჩევს. ჩემ საცვლებსა და თეთრეულს ცალკე არეცხინებს.

კაცმა რომ თქვას, რა ვუყოთ მერე, ფრთხილობს დედა. შენ, სტეფანე აზორბადიდებ ყველაფერს და სხვა არაფერი!...“ — თავისი თავი გაამტყუნა ისევ სტეფანემ.

გასწვრივ კედელთან საწოლის ბადის მავთულებმა შეიჭრიალეს. ნოდარი ძილში მეორე გვერდზე გადაბრუნდა. სტეფანე პაპა აფარფატდა, ნოდარს საბანი შეუკეცა, მოუალერსა, მხარზე ხელი მოუთათუნა. მერე ისევ თავის ცივს საწოლს დაუბრუნდა. გაქცეულ ფიქრს გამოედევნა.

„არა, მაინც, ეს ხველება რა ჯანდაბაა. თუმცა, მგონი, გვარში გვაქვს ეგ. მახსოვს პაპაჩემს ახველებდა, ახრჩობდა კაცს, ახველებდა და იპურჭყებოდა წამდაუწუმ. დასდევდა დედაჩემი ცოცხით და ბუზღუნით. ხან ნახერხს დაუდგამდა ტაშტით და ხან საფურთხებელს ხსნარით. ვერ იქნა და ვერ გადააჩვია საწყალმა დედაჩემმა თავისი მამამთილი ავ ზნეს. სულ ამაზე იყო იმათი ჩხუბი. ჩვენ, ბაღლებს, გული გვერეოდა ნახერხიანი ტაშტის დანახვაზე.

დედამ ცალკე გაასახლა მოხუცი და ბინად მამაჩემის სამჭედლო დაუდო. იქ უზიდავდა საჭმელსა და უსუფთავებდა სადგომს. იქ დალია სული საწყალმა. მერე დედაჩემი ძაანა სწუხდა და სულ სანთლებს უნთებდა ანჩისხატში ღვთისმშობლის ხატს. სანთლები რაღას უშველიდა ან ერთსა და ან მეორეს...“

სტეფანე პაპამ სუსხით იგრძნო, გარიჟრაჟი ახლოვდებოდა. წყვდიადი თითქოს გაბაცდა და შეირხა კიდეც.

„ახლა მე მომდგა ქეთევან-რძალი და ჩემს გასახლებასაც აპირებს აქედან. საათია ჩვენი ცხოვრება თუ რა ჯანდაბაა! ნეტა როგორ მეორდება ყველაფერი ასე. ის ბიჭიც აღარაფერს ამბობს. მოსწყინდა საწყალს ამდენი სისინი. ისიც კაცია და მოსვენება უნდა. ან მე რა ვქნა. ნეტა ვიცოდე, რა ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი. ყველასათვის სიკეთის მდომელს, ყველაფერი უკუღმა გამომდის.

არა, ვერ არის, ალბათ, ეს ბუნება აწყობილი კარგად, თორემ, გაათავე შენი საქმე კაცმა, ემსახურე ქვეყანას და ხალხს, დაზარდე შვილები, მიეცი გზა და წადი! რაღას ებლანდები ფეხებში სხვას. რიღასი მაქნისი ხარ ვითომ...

მაგრამ ტკბილია ეს ოხერი სული და რა ვქნათ. ხველება ხომ ვერ ჩამოგახრჩობინებს თავს. სხვა არა იყოს რა—რას იტყვიან, რძალმა გაამწარა და აქამდე მიიყვანაო. ბიჭი ვერ მოითმენს ამას. ჩხუბი მოუვათ ცოლქმარს. აერევათ ოჯახი და მერე ისევ მე გამოვალ ბრალში. მე დამიდებენ საბაბად და წყევლა-კრულვით მომიგონებენ...“

ნაადრევი განთიადის ბაცი შუქი ნისლივით შემობორიალდა ოთახში და ამღვრეულ ტბასავით გადგა. მოხუცმა უფრო იგრძნო, ვიდრე გაარჩია მძინარე შვილიშვილის ლანდი აფორიაქებულ ბინდში. მოეჩვენა, თითქოს საბანი გადახდოდა ნოდარს მხარზე და ხმადაბლა გადასძახა დილის ძილს თავმიცემულ ბიჭს:

— საბანი დაიხურე, ბიჭო, სუსხიანი ღამეა და არ გაიციო თავი!

მძინარე ზანტად შეიშმუშნა და საბნის ნაოჭებში შეძვრა.

— არა, ტყუილად ეშინია ქეთევან-რძალს. ეს ხიხინი და ხველა ომმა დამიტოვა ასე... — ხმამაღლა დაუდასტურა მოხუცმა თავის თავს და მერე ისევ თავისთვის განაგრძო:

„სევასტოპოლთან, მთელი ღამე, დაჭრილი ვეგდე უგრძნობლად და, რა სიკეთე მომივიდოდა... პაშა რომ არა...

სად არის ნეტა ახლა პაშა?... აი, ვინ იყო ანგელოზი!.. რა გაგანია საკირიდან გამომიტანა. როგორ დამიყვავა და როგორ მომიარა. კიდევ იტყვიან ამის შემდეგ — ეს შენიანია და ის უცხოო. კაცი თქვი, თორემ... ვინ იყო ვითომ პაშა პროსკუროვა იმ დროს ჩემთვის. ერთი უბრალო სანიტარი, სხვა არაფერი. ან მე ვინ ვიყავი მისთვის? დაცხრილული ეშელონის ვიღაც უცნობი მემანქანე. ერთი თვის წვერგაუპარსავი, სისხლში ამოსვრილი ლეში. გრძნობადაკარგული ჩვარი და გუდურა. არა, არა, გულია მთავარი და ადამიანი!...

მაინც, რა ჯოჯოხეთი დღე დაგვიდგა ის დაწყევლილი. საღამო იყო ისეთი, რომ მოულოდნელს თითონ ბუნებაც არ ელოდა. ჩვეულებრივი უღრუბლო ცა. სადღაც შორიდან მონაბერი ზღვის სიო. თვალუწვდენელი ტრამალების უკიდეგანო ნაპირები. გაღმივ—ჩამავალი მზე. ორი გაწვდილი ლიანდაგი და ჩემი მქშინავი, მოძველებული ორთქლმავალი, უულვაშო ჯარისკაცებით პირთამდე სავსე ეშელონით.

უცბათ, შეტოკდა ყველაფერი. ყველაფერი თავდაყირა შემოტრიალდა. უცაბედად წამოგვეპარნენ ფაშისტების თვითმფრინავები. გაცხელებული ტყვიის წვიმა მოულოდნელად დაგვატყდა თავს. აფეთქებული ყუმბარების გრგვინვა-ქუხილი კვნესით მოედო მიდამოებს. ფაცერივით დაგვცხრილეს წყეულებმა. ჩემი ბებერი ორთქლმავალი ისე ტიროდა და კვნესოდა, როგორც დაჭრილი სულიერი“.

— ომი... ადვილად იტყვის კაცის ენა,— ჩაიბუტბუტა მოხუცმა და დარაბის ჭუჭრუტანაში შემოჭრილ შუქს თვალი გააყოლა.

„რა ჯანაბამ გააბოროტა ის ოხრები. რა დავუშავეთ, რა წავართვით, ვითომ რაში ვეცილებოდით? და, საერთოდ, რა აბოროტებს ადამიანს ასე უაზროდ და უმიზნოდ.

ცხოვრობს კაცი გულჩვილი და პატიოსანი. იქნებ ქათამიც არ დაუკლავს თავის ცხოვრების გრძელ მანძილზე. ჰყავს ცოლი, შვილი, მეგობრები, ნათესავები. დადიან ერთმანეთთან სტუმრად. შრომობენ და ერთმანეთის სიკეთით ცხოვრობენ. ჰყავთ ერთი კატა ოჯახში და სხვა არაფერი.

დაჰყრის, ახლა, ციცუნია ცინდლებს. შეიკრიბება ოჯახი და არის ბჭობა და კამათი. აღარ იციან, სულ გადაყარონ კნუტები თუ ერთი მაინც შეუნარჩუნონ საწყალ ფისოს, გულშეწუხებული რომ დაწრიალებს ცინდლების გარშემო და თხოვნით ეტმასნება მუხლზე ოჯახის თავს. ბოლოს გადაწყვეტს მამა: „ყველა დავტოვოთო“, და დაიყოლიებს აბუზღუნებულ დედას. არის ოჯახში სიკეთე და სიამტკბილობა. გადარჩნენ ცინდლები სანაგვე ყუთს.

მაგრამ, აი, დაუძახებენ მეორე დღეს ოჯახის უფროსს სამხედროში. ჩააცმევენ უხეში შალის ფარაჯას, მისცემენ ხელში ავტომატს და ცხრილავს ავტომატი სიმწრით გამოზრდილ დედისერთა ბაღლებს. მიდის ოდესღაც ლმობიერი კაცი და წინ და უკან სიკვდილი მიჰყვება. ანგრევს აშენებულს და სწვავს. შენ თუ არ ესროლე, ის გესვრის და, ასე ჟლეტავენ ერთმანეთს და ანადგურებენ. ვისღა ახსოვს ოჯახი და კატის კნუტების სიბრალული“.

აზრი გაწყდა.

მოხუცმა თვალი ოთახში შემოპარულ შუქს მიაპყრო და სმენა დაძაბა. გარიჟრაჟზე მთელ ბინაში უცნაური უმწეობა ისადგურებდა. კარგა ხანია შეამჩნია სტეფანემ ეს და ყოველღამ უსაფრდებოდა განთიადის ამ პირველ შუქს. ეს შუქი თავისთავად დაუნდობელ განაჩენსა ჰგავდა. ამ დროს მოხუცი თითქოს უფრო ნათლად გრძნობდა, როგორ ჟონავდა წვეთი-წვეთად, წლებისაგან დაძაბუნებული სხეულიდან, სიცოცხლის დარჩენილი მარაგი, როგორ ებრძოდა სული ხორცსა და გულის მინელებულ ტოკვას. არა, სტეფანეს არაფერი არა სტკიოდა, მხოლოდ ეგ არის, ოდნავ არხევდა მძიმე სუნთქვით მობერილი სიო მინავლული სანთლის ნაბოლარა შუქს.

— ესე იგი, ჩემივე სუნთქვა ჩამიქრობს ალს! — წაიბურტყუნა მოხუცმა და ფეხზე წამოდგა. მერე ოდნავ თავბრუ დაესხა და ისევ დაჯდა.

ალბათ, ყოველივე ეს ნერვების ბრალი იყო და სხვა არაფერი. თორემ, აბა, სად დილა და სად უმწეობა.

— დაანებე, ბებერო, თავი გარდაუვალის ჩიჩქნასა და ისევ შენ პაშას დაუბრუნდი, — ურჩია სტეფანემ თავისავე თავს.

„პაშა.. კარგი ქალი იყო პაშა. ალერსიანი და სუფთა. დედაკაცი ტკბილი და დამყოლი. საწყალმა სიდონიამ სულ თავწაკრულმა გაატარა თავისი სიცოცხლე და რა?...“ შერცხვა მოხუცს ამ შედარებისა და წამოწითლდა.

— რას არ გაიფიქრებს კაცი! — უსაყვედურა თავის თავს და შემპარავად მიმოიხედა, ყურს ხომ არავინ არ უგდებსო ამ ჩემს სულელურ აღსარებას.

„პაშა... სამამულოდან რო დავბრუნდი, კარგა ხნის შემდეგ, ერთხელღა ვნახე სიზმარში და ასე სიზმარივით გაქრა. თუმცა რას გაარჩევს კაცი, ახლა ჩემთვის ყველა ერთ კუნჭულში ჰყრია — სიზმარიცა და ცხადიც.

არა, მაინც, ის სიზმარი ცხადზე უფრო დამამახსოვრდა.

იწოდა ვითომ უზარმაზარი ყანობილი. ცეცხლის ალი ცასა სწვდებოდა. ღრუბელი არ იყო, და ყურთასმენა ქუხილს მიჰქონდა. თქეში არ იყო, და მტვრის კორიანტელი ჩრდილავდა მზეს. კაცი არ ჩანდა სულიერი, და გარემოს გმინვა ავსებდა. მიწა ვარვარებდა ერთ დიდ ნაკვერჩხალივით, და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ღადარზე ფეხშიშველი დედაკაცი ხელგაწვდილი მოაბიჯებდა. ისე მომეჩვენა, — თითქოს სიყვარული პეშვით მოჰქონდა. მომიახლოვდა და ვიცანი...

უბედური სიდონიას მუჯლუგუნმა გამომაღვიძა.

მკითხა: პაშა ვიღა ეშმაკიაო?..

მეწყინა, მაგრამ გავისუსე. მოვიმძინარე თავი. მაშ რა მექნა, როგორ ამეხსნა, ვინ იყო პაშა და რა იყო ღადარი".

მწარედ ჩაეცინა მოხუცს შორეულის გახსენებაზე. კარგად იცოდა სტეფანემ, რომ ჩიჩქნა წარსულისა და ბაასი წარსულთან იმავ უნიათობისა იყო, მაგრამ რა ექნა, ფიქრს ხომ ვერ გადაუჭრიდა გზას ამ უსასრულო განთიადის მდუმარებაში. ფიქრი ხომ მაინც თავისას ხლართავდა და რადგან მომავალში აღარა ჰქონდა-რა, ისევ წარსულს უბრუნდებოდა.

რადიოს ჩართვის უფლება მაინც რომ ჰქონოდა, კიდევ არა უშავს, აახმიანებდა ამ მოლაპარაკე ყუთს და მოისმენდა ქვეყნის ამბებს. იქ ჩინეთში თაღლითობენო. იქ ვიეტნამში ხალხს უსამართლოდ ჟუჟავენო. რა ეშველება ამ ქვეყანას. რა დააწყნარებს, რა მოსთოკავს".

— ქვეყანასთან შენ რა ხელი გაქვს, თუ ვაჟკაცი ხარ, შინ დაამყარე სიმშვიდე და სიამტკბილობა, — უსაყვედურა სტეფანემ თავის თავს.

„არა, მაინც, ამ ჩვენებიანთ ენაჭარტალა ნანიკელამ საიდან მიაკვლია პაშა პროსკუროვას ამბავს? იმას რომ ჰკითხო—წერილი ჩავიგდეო ხელში. საკვირველია სწორედ. მე არა მიმიწერია-რა პაშასთვის და, თუ თვითონ მომწერა, სად ამცდა ის წერილი ნეტა?... სად გადაელობა ნანიკა იმ ბარათს, ანდა რა ეწერებოდა ისეთი შიგ?

სიდონია დარბაისელი ქალი იყო. მომთმენი და რიდის დამდები, პატივისმცემელი ქმრისა და ოჯახისა. ასე გასინჯეთ, ის წერილი ჩემთან არც კი უხსენებია, ისე დამშორდა სამუდამოდ. მე სულელმა გვიან გავიგე ყველაფერი. ქეთევანმა წამომაყვედრა ლაპარაკში. მაშინ მივხვდი. სწორედ იმ ბარათის შემდეგ რაღაც ჩრდილი გაწვა ჩემსა და სიდონიას შორის. ქალი ქალია და იტანჯებოდა ის საწყალი, ალბათ, მე კი ვერაფერს მივუხვდი და ვერ დავამშვიდე საცოდავი".

სტეფანე აღელდა და მუქარით ამოიგმინა.

„დასახრჩობია ჩემი ხელით ნანიკა და სხვა არაფერი. ახლა ჩემ რძალს ეკურკურება. ისე კვირა არ გათენდება, არ შემოიტუზოს ჩვენთან. აგვხედ-დაგვხედავს, აგვწონ-დაგვწონის და მოჰყვება: — რა კარგი ბინა მიიღეთო, რა ადგილი და რა ხედიო! — მერე რა მოხდა, რო მივიღე!.. თუ მივიღეთ, ჩემი კაცობით მივიღეთ და მაგას რა უნდა. რა ჭია უღრღნის შურიან გულს. ამ ჩემმა რძალმაც გულში ჩაისვა შინაბერა. რა ვიცი, რა აქვთ საერთო და სამუსაიფო. ჩურჩულებენ და მასლაათობენ. იცინიან და კისკისებენ. ეს ოხერი, ასე მგონია, ჩემზე აქვთ მეთქი სჯა-ბაასი. მე თუ დამცინიან-მეთქი, ვფიქრობ.

აი, ნანიკასთანა არამკითხე მოამბეები უმწარებენ სიცოცხლეს ადამიანსა და ქვეყანას. ამ გულჭვარტლიანთ არაფერი წმინდა არა აქვთ. ღვარძლით ავსებენ ცხოვრებას და ღვარძლსა სთესავენ დაუფიქრებლად. შეუძლიათ ოჯახი ოჯახს გადაჰკიდონ, უბანი უბანს წააჩხუბონ, სოფელი სოფელს აუმხედრონ. ასე იოლად ნუ უყურებთ სინდისგარეცხილ ჩუმჩუმელებს.

ჰოდა, აი, ჩავიგდებ ხელში იმ თქვენ ცნობილ ენაჭარტალას და კარგადაც გამოგილანძღავთ. ასე ვეტყვი:

— შე ოხერო, რას დასისინებ გველივით და რა გინდა-მეთქი, ჩემგან. შენ თუ, შვილოსან, გზა ვერ იპოვე ცხოვრებაში, რა ჩემი ოჯახის ასატანია-მეთქი ეგ. ჯერ იყო და, იმ ჩემ საბრალო სიდონიას უკანასკნელი წლები ჩაუმწარე, ჩვენ ცოლ-ქმრობაში ჩრდილი გასდე, ახლა არის და რძალს მიქეზებ, რა გინდა-მეთქი ჩემგან, ვკითხავ. მერე კარს გავუღებ ფართოდ და კინწისკვრით გავაგდებ გარეთ!"

თავისავე ფიქრს აყოლილი სტეფანე პაპა ფეხზე წამოიჭრა და ხმამაღლა შესძახა:

— სატანა, რას გადამეკიდა, კაცო!?

მერე თითქოს თავისივე შეძახილის შერცხვაო, უცბად მოიღვენთა, უნდოდ შეათვალიერა ოთახი და ისევ საწოლის პირას ჩამოჯდა.

ქუჩიდან ფილაქანზე მიმავალი მგზავრების აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა. სატვირთო მანქანებმა ზანზარით ჩაუქროლეს ფანჯრებს. დარაბის ღრეჭოებში შემონათებული დილა სვეტებად დაემხო იატაკზე. აფორიაქებულმა სტეფანემ ყურადღებაც კი არ მიაქცია კედლის ხალიჩაზე ატორღიალებულ შუქს, ბუზღუნით დაადასტურა მხოლოდ — გათენდაო, და ბუდიდან ამოვარდნილი გულის დამშვიდება სცადა.

„დაწყნარდი, სტეფანე, გუნებას ნუ იმღვრევ. ვერაფერსაც ვერ ეტყვი ნანიკას. უბატონოდ ხმასაც ვერ გასცემ, შე საწყალო! არასოდეს არ ყოფილხარ სიტყვაში თამამი და ახლა რაღა გაგათამამებს. აი, ვნახოთ, შეხვდები იმ შენ შინაბერას და სიტყვებიც დაგეფანტება. ლანძღვის მაგიერ ბოდიშს მოუხდი კიდევ იქით. სხვისა ტრაბახი გულს გირევს და შენ თავს რაღას ეტრაბახები. დარბაისელი კაცი ხარ და ნანიკას თავს ნუ გაუყადრებ. იმას თავისი დარდი აქვს და ისიც ეყოფა. რო იცოდე, დუნიაზე ყველას თავისი დარდი აქვს და, იმ ყველას ჩვენი რად ავკიდოთ? ილაპარაკოს ნანიკამ და გული იჯეროს. შენ, სტეფანე, ცხოვრებაში კეთილი სვე გაგიტანია, დედაკაცების მითქმა-მოთქმა იმ შენ სიკეთეს რაღას დააკლებს; რაც შენ ტვირთი გადაგიზიდავს ამ ჩვენ დახლართულ რკინიგზაზე, ის ეყოფოდა ერთ დიდ ქალაქს ასაშენებლად. ეს ამბავი ქვეყანამ იცის. ჰოდა, რა გინდა ამის მეტი?.. ახლა ნანიკას ნუ აჰყვები... ცოტა შენ რძალსაც აპატიე. გადამკვდარია ქმარშვილზე და იქნებ შენთვის დროც აღარ რჩება. მერე რა ვუყოთ, თუ ხანდახან თბილი სიტყვა ვერ მოგაწოდა. რა მოხდა მერე, ვითომ რად უნდა აუხირდე ამის გულისთვის. მოხუცდი და სითბო დაგაკლდა? აბა, რას იზამ,დრო უნდოა, დრო შენ კი არა, ლოდებსა ღრღნის. სამაგიეროდ, აბა შენზე თუ იტყვის ვინმე — გზაზე ცუდად ამეხიდაო, გასაჭირში კაცს ხელი არ გაუწოდაო, კეთილ საქმეს ავი საქმით უპასუხაო. აბა თუ იტყვის, მოიგონე?.."

— იტყვის, — წაიჩურჩულა სტეფანემ და კედელზე მიჭედილ წიგნების თაროს დააშტერდა.

— იტყვის, — გაიმეორა მოხუცმა და ამოიოხრა.

კარგა ხანია ერთი გადაუწყვეტი რამ აწუხებდა სტეფანე პაპას და მის არსებას ორადა ჰყოფდა. ეს ორი სტეფანე ედავებოდა ერთმანეთს და ვერც ერთი ვერ პოულობდა დასათმობ გზას.

ექვსი წლის წინათ, ერთ საღამოს, სნეულებით შეწუხებულმა სიდონიამ, მოუხმო ქმარს და სათქმელი გაანდო:

— სტეფანე ჩემო, სააქაო პირი არ მიჩანს, როგორცა ვგრძნობ, და საანდერძოდ მინდა გითხრა: ამ ჩემი მომჭირნეობით, წლების მანძილზე შენგან მალვით, ცოტა რამ თანხა შევაგროვე. მეშინოდა, იქნებ როგორ დაგვჭირდეს-მეთქი. ბევრი არ არის. აი, იმ თაროზე, — „ვისრამიანის" წიგნში მიდევს. აიღე და გამოიზოგე. შენია და უპრიანია ისევ შენთვის. ერთი გახსოვდეს, მე ქმარი მყავს დამტირებელი, შენ უჩემოდ ვინ გეყოლება?.. ჰოდა, აი, გაუფრთხილდი იმ ჩემ მონაგარს. სიკვდილი ყველას უკაკუნებს. კარგად იცი, მწუხარებას პატივისცემა უხდება და, ობოლ კაცს სამწყალობლო შესანდობარი.

ეს იყო და ეს. მერე კიდევ კარგა ხანს იავადმყოფა სიდონიამ, მაგრამ ანდერძზე სიტყვა აღარ ჩამოუგდია, სტეფანესაც არა უთქვამს რა, ყველაფერი თითქოს ნასიზმრალს გადაჰყვაო.

გავიდა ხანი. სნეულებამ საბოლოოდ ხელი დარია სიდონიას. ბოლო დღეებში ავადმყოფი თანდათანობით უგონობაში წავიდა და უგონობაში მიიცვალა.

სტეფანე პაპას ესღა ახსოვს:

სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმმა ჟანგბადის ბალიში მოაშორა ავადმყოფს და ხელი ჩაიქნია.

სტეფანე მიუხვდა ექიმს. აივანზე გავიდა და მოწნულ სავარძელში ჩაჯდა. მერე ვახტანგი გამოვიდა მამასთან და გვერდით მოუჯდა. ასე ისხდნენ ერთხანს ორივენი ჩუმად.

ის ღამე წვრილმანამდე ყველაფრით ჩვეულებრივი იყო. მომაკვდავის ოთახში მორიგე ექიმი ქეთევანს ეჩურჩულებოდა გაბმით. აივანზე ავადმყოფის ჩვრები შრებოდა. ჩვრებს ღამის სიო არხევდა და ჩვრების ფარფალი ეზოს ბოძზე მიკრულ ელნათურას ეჯკჯემალულებოდა.

— ფული თუ გვაქვს? — იკითხა სტეფანემ და ენაზე იკბინა.

— გვაქვს, — მოკლედ უპასუხა შვილმა.

— იქნებ გაკლდება და, — აღარ დაამთავრა მამამ.

— არა-მეთქი, რა დროს ეგ არის! — შეუტია ვახტანგმა სტეფანეს.

— გათავდა, ბიჭო, დედაშენი. მაგას აღარა უშველის რა. მწუხარებას კი, შვილო, პატივისცემა უნდა, — თავი იმართლა მოხუცმა და სიდონიას ნათქვამმა სიტყვებმა ახლა-ღა აუმღვრია გული.

ოთახიდან ქეთევანის ქვითინი მოისმა.

ვახტანგმა ოთახს მიაშურა.

სტეფანე აეკრო სავარძლის ზურგს.

ამის შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა. ჭირისუფლებმა სიდონიას პატივისცემა არ დააკლეს. რძალმა დედამთილი ზარით დაიტირა. ვახტანგი მალულად ყლაპავდა ცრემლს. სტეფანე პაპა გამომშრალ ჩამიჩს დაემგვანა. ცრემლი გაუშრა და ვეღარ ტიროდა. ოთხი წლის ნოდარს ამ ქვეყნისა არაფერი გაეგებოდა. ლელა ჯერ არსადა სჩანდა.

მერე წლის თავზე, ნანიკას გარჯა-თაოსნობით, ბიძებმა და ბიძაშვილებმა ყველაფერი ასწონ-დასწონეს და ვახტანგი თავისი ცოლშვილით სტეფანესთან ახალ ბინაში შეასახლეს. ასე აეწყო საათივით მათი ცხოვრება.

გავიდა დრო და აგერ—როდის სტეფანე პაპამ „ვისრამიანი" გადმოიღო წიგნის თაროდან, მალვით გაშალა და გაოცდა. გაკვირვებულმა ოცი ტკიცინა ხუთთუმნიანი დაითვალა. ამდენი ფული ერთად ხელში თავის დღეში არ სჭერია. შეშინებულმა ფული ისევ წიგნში ჩაკეცა. წიგნი თაროზე შემოსდო და, იმ დღიდან ერთი კაცი ორად გაიყო.

მოგონებებით აღელვებულმა ბერიკაცმა ფანჯრის დარაბა გამოაღო ღრეჭოდ და ოთახში შუქი შემოუშვა.

მზიანი პირი უჩანდა დღეს. შემოდგომის ქარი გამხმარ ფოთლებს მოაგორებდა ფილაქანზე. საყელოაწეული მგზავრები ამ გამხმარ ფოთლებს მისდევდნენ და დილის სუსხზე იმშუშნებოდნენ.

სტეფანე პაპამ თვალი გააყოლა უღრუბლო ცას და ამ ცაზე თვითმფრინავით დატოვებულ ბაფთისებრ ზოლს. თითქოს ზეცა უხილავ ხელს გარდიგარდმო უდარდელად გადაეხაზოს. ბოლო ბაფთისა თანდათანობით დნებოდა და ცის სილურჯეს უერთდებოდა.

— ნეტა შეგეძლოს აგრე იოლად გადახაზო ყველაფერი შენს ცხოვრებაში, —უგემურად წაიბუტბუტა მოხუცმა და ისევ საწოლს დაუბრუნდა.

— აი, ვთქვათ მე, ვერ გადამიწყვეტია ერთი უბრალო ამბავი და ვერ დამიწყნარებია გული, — უსაყვედურა თავის თავს სტეფანემ.

მერე გაიფიქრა: — „ეგ არც თუ ისე იოლიაო" — და საბანში შემძვრალმა, თვალები მილულა. ამ თვალის მილულვას-ღა თუ ელოდა დიდი ხნის აკვიატებული ფიქრი:

„შენ, სტეფანე, მოხუცდი და თანდათან გამოტუტუცდი. სამოცდაათი წლის მანძილზე რაცა გქონდა, არავისთვის დაგიმალნია და, ახლა, ვითომ, ვის უმალავ სიდონიას გარჯით მონაგარს? როდის გახდი ფულის ასეთი მოყვარული? ოჯახს არ უჭირს, მართალია, მაგრამ არც თუ თავზე გადასდის. ეგ მონაგარი მიეცი შვილს და გაათავე, სულს რისთვის-ღა იფორიაქებ?"

სტეფანე პაპა ახვნეშდა და მხარი იცვალა.

„შე ღმერთგამწყრალო, ჩემი ცხოვრება რო იცოდე, ცაზე გავლებულ იმ კვალსა ჰგავს, ცოტაცა და ქარი გაჰფანტავს. სიდონიამ კარგად იცოდა რა და როგორ. ალბათ, იმედი არა ჰქონდა, როცა მირჩევდა: — მე ქმარი მყავს დამტირებელი, შენ უჩემოდ ვინ გიტირებსო. — ტირილსაც თავი დავანებოთ, ერთი ჭია რა სათქმელია. ეგეც რომ არა, იქნება რძალს ვეღარ გავუძლო, მერე რა ვქნა, სირცხვილით კარზე ვის მივადგე? გარდა მაგისა, კაცი უნდა ამ ქვეყნიდან ისე წავიდეს, თავისი ჭუჭყი თან წაიღოს, საქაოსი ყველაფერი მიალაგოს, დაასუფთაოს, სხვას საზრუნავი და საწყევლი არ დაუტოვოს. ჰოდა, აი, ეს ყველაფერი მაშინებს და ხელფეხს მიბორკავს".

სტეფანე პაპამ თავზე საბანი წაიფარა. აღარაფრის გაგონება აღარ უნდოდა. მაგრამ ფიქრს კაცი სად წაუვა? ის ოხერი საბნის ნაოჭში შემოძვრა და აფორიაქდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა, სტეფანე, შიში აქ რა მოსატანია. ხალხის დოვლათი და სიმდიდრე ბეწვის ხიდზე გიტარებია, შიში გულს არ დაჰკარებია. ეგ ნათქვამი სიტყვის მაზანდად გჭირდება და სხვა არაფერი!"

სტეფანე პაპა ლოგინიდან წამოიწია:

— რა მაზანდად, აი, გაჰხედე, როგორ ილევა ბაფთის ზოლი, კიდე ცოტაც და, სულ გაჰქრება, კვალს არ დასტოვებს! — შესძახა მან უხილავ მეტოქეს.

— ეგ გროშები დიდი სიმდიდრე თუ გგონია, შე საცოდავო, მაგითი გინდა დაეჭიდო იმ ბაფთის კუდს? — ჩაიხითხითა სტეფანეს მეტოქემ.

— არა, მაგრამ, აღარ გახსოვს სიდონიას ნაანდერძევი... მწუხარებას პატივისცემა უნდა და ობოლ კაცს სამწყალობლო შესანდობარიო... აღარ გახსოვს? — ჩაუქინდა მოხუცი მეტოქეს.

— ყოჩაღ, ბერო, მწუხარების პატივისცემა, მეგობრების შესანდობარი და სახელი გროშებით გინდა დაიბევო?

— როგორც გინდა, ისე იფიქრე...

— მაშ რა ყოფილა შენი გზა და შენი კაცობა?

— მაგაზე მერე, თავი დამანებე ახლა, დავიღალე, იქნებ წავიძინო ცოტა. — უგუნებოდა წაიბუტბუტა სტეფანემ და თვალი მილულა.

ხანი არ გასულა დიდი და ოთახში ფეხშიშველი ლელა-გოგო შემოტანტალდა. ჩაფართხუნებულ ღამის პერანგში გახლართული მეტიჩარა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა სტეფანეს საწოლს და ლოგინზე აცოცება სცადა. ლელას დანახვაზე მოხუცს ღიმილი აეკრა სახეზე.

— სსსუ! — წაუწვრილა გოგომ და პატარა ტუჩებთან პატარა თითი მიიტანა. გამოვიპარეო, აგრძნობინა პაპას.

სტეფანემ ბალღს ხელი დასტაცა და ლოგინში ჩაისვა. ლელა მიეკრა მოხუცის მკერდს, პაწია ხელები კისერზე მოხვია და ლოყაზე აკოცა.

მთელი ოთახი, წეღან ყრუ და მიუსაფარი, ლელას ღიმილით და სითბოთი აივსო.

სტეფანე პაპამ გულში ჩაიკრა შვილიშვილი. თავზე გადაუსვა ხელი და შუბლზე აკოცა, თან თვალი აარიდა ლელას, ცრემლი აარიდა გოგოს. აბა, რას მიუხვდებოდა ბალღი ამ სანეტარო ცრემლის ძალას.

ლელამ თავი გაინთავისუფლა სტეფანე პაპას მკლავებისაგან და საიდუმლოდ წასჩურჩულა ყურში:

— პაპაბუ, მითხარი ჩიორას ზღაპარი, — თქვა ესა და თან შუბლი შეიკრა. თვალები ვითომ ბოროტად დაკარკლა და სათქმელი შეახსენა მოხუცს. — ჰამ, გადაყლაპა წყეულმა მელიამ! — მერე მოუფონა ისევ წვერზე ხელი მოუთათუნა და მუდარით შესთხოვა, — მეტყვი, პაპა?

— გეტყვი, შვილო, როგორ არ გეტყვი! — მიუალერსა სტეფანემ და ზღაპრის სათქმელად მოემზადა, მაგრამ სიტყვა ვეღარ იპოვა. არ იცოდა, საიდან დაეწყო. ათასჯერ მოყოლილს, თავი ვერ მოაბა. ათასჯერ ნათქვამს სიტყვა ვერ მოარგო.

— ჰოდა... ჰოდა.. — რამდენჯერმე გაიმეორა სტეფანემ და გაჩერდა.

ლელამ დაკვირვებით შეხედა პაპაბუს.

— ჩიტო-ჩიტო, ჩიორაო, პაპა! — შეახსენა ლელამ დაბნეულ სტეფანეს.

— ჰო, შვილო, ჰო... ჩიორაო, მაშ... — და ისევ გაჩუმდა, მერე უცბად ღიმილმა გაუბრწყინა სახე:

— იცი, ლელა, აი, მე შენ რა უნდა გაჩუქო. დამაცადე, რა უნდა გაჩუქო — ჩაიღიღინა მოხუცმა, ლოგინიდან წამოფარფატდა, თბილი ხალათი გადაიცვა და წიგნების თაროს მიაშურა.

ლელა გაოცებით შესციცქინებდა აფორიაქებულ პაპას.

სტეფანე პაპამ თაროდან წიგნი გადმოიღო. ამ წიგნით ხელში ისევ ლელასთან მიფაჩფაჩდა. ლოგინზე ჩამოჯდა. ცნობისმოყვარე პატარა მეტიჩარა კალთაში ჩაისვა და ძველი წიგნი იქ გადაშალა, სადაც სიდონიას ნაანდერძევი მონაგარი ეგულებოდა.

ლელას თვალები გაუბრწყინდა:

— უჰ, რა კარგი ნახატებია!... პეპლებია არა, პაპაბუ, ლამაზი პეპლებია, არა? — წამოიძახა გახარებულმა გოგონამ და ერთბაშად მთელი დასტა ჰაერში გასტყორცნა.

ფარფატით დაეშვნენ ეს „პეპლები" ქვევით და ოთახს მოეფინენ ირგვლივ.

ლელა კისკისებდა და კისკისებდა. ერთი „პეპელა" თავზე წამოაჯდა პაპას და ამან ხომ სულ აიტაცა გოგო.

სტეფანე შეჰყურებდა თავის მწყალობელ შვილიშვილს და ისიც კუჰკუჰებდა ტვირთმოხსნილი, ბედნიერი კაცის სიცილით. ეტყობა, ყველაფერს ფასი დაჰკარგოდა პაპა-შვილიშვილის თვალში ამ დიდი სიხარულის გარდა.

ოთახში შუბლშეკრული ქეთევან-ქალი შემობრძანდა და გაშრა.

ლელამ მობოდიშებით შესცინა დედას და დარცხვენილმა წამოიძახა:

— აი, პაპაბუმ მე მაჩუქა ეს ზიზიები!

ბელა შალვაშვილი

## შვილებს ჰგონიათ

შვილებს ჰგონიათ, მათი დედები
ქვეყნად ყველაფრის შემძლე არიან;
არ სცხელათ დამწველ ივლისის მზეში,
არ სცივათ, როცა იანვარია.
და სჯერათ, მათი კარგი დედები
მზისაკენ მარად ხელებს იშვერენ.
წამოსტკივდებათ — ვაიმე, დედა!
გაუჭირდებათ — დედა, მიშველე!
ასე ჰგონიათ გზებიც, სახლებიც,
სასახლეებიც თვითონ ჩნდებიან,
შვილებს ჰგონიათ, მათი დედები
მძიმე შრომაშიც არ იღლებიან;
არ სცხელათ დამწველ ივლისის მზეში,
არ სცივათ, როცა იანვარია...
შვილებს ჰგონიათ, მათი დედები
ულამაზესი ქალნი არიან.

ალექსანდრე ტაბატაძე

## ქსანთან

დღესაც ჩვეულებრივ გავიდა სახლიდან.
დღესაც ჩვეულებრივ გაუყვა გზას...
მერცხლები ცის თავანს
თეთრ მკერდებს ახლიდნენ
და მთების სიმღერა მოჰქონდა ქსანს.
სახეზე ეფინა ბავშვური ღიმილი,
როგორც ჟამთასვლასთან შედავება,
და გაზაფხულივით მიჰქონდა იღლიით
იებით გავსილი „დედა ენა".
ასეთი ლამაზი დღე იდგა მაშინაც.
მაშინაც გვირილებს მოეთოვათ,
და ახალგაზრდობა მოსწყურდა საშინლად,
პირველად ინატრა პოეტობა.
ეზოში შევიდა. მოესმა მაღლიდან —
ნორჩები ღუღუნებდნენ სიმღერებს,
და ოდნავ სევდიანს და ოდნავ ნაღვლიანს
იქვე დაავიწყდა სიბერე.

## ოსვენციმის გზა

გზა ნაწვიმარი მიცურავს ნისლში
და ყველაფერი სავსეა ბინდით,
ეს გზა შვილივით შორდება ვისლას
და ცრემლიანი ოსვენციმს მიდის.
აქ ყველაფერი სავსეა ახლა
ნისლით და წვიმით, წვიმით და ნისლით,
და მზე მიმქრალი ისე ჩანს მაღლა,
როგორც კედელზე შემხმარი სისხლი.
ცეკვავს აპრილი ლილო-ჭრილოზე
და იმედებით შესცქერის აწმყოს,
და ოსვენციმის მძიმე ჭრილობას
მთრთოლვარე ხელით ყვავილებს აწყობს.

ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის

# ათეული წლების მიღმა



აკვანში ბავშვი წევს და მშვიდად ძინავს. თავთან ქალი უზის და სიყვარულით შესცქერის. ანაზდად შეტოკდა პაწია, შეიშმუშნა. ჯერ გაიღიმა, შემდეგ ზედა ტუჩი ამობურცა. ქალმა ფრთხილად დაარწია აკვანი, წაუმღერა კიდეც რაღაც, ჩუმი ტკბილი ხმით. ჩვილი კვლავ ძილს მიეცა. „ბებია შემოგევლოს", — ჩურჩულებს ქალი (თუმცა ის ბავშვის მშობლების ბებიაა). მოგონებათა ძაფი ძალიან შორს მიდის — ათეული წლების მიღმა, ნახევარი საუკუნის იქით.

...სარკმელში შავი თვალებით იცქირება ღამე. ლანდები დაბორიალობენ მკრთალად განათებული ვაგონის კედლებზე. ჩამსხვრეულ მინაზე ფრთებს იხევს აშარი ქარი, ვაგონში სიცივე შემოაქვს და მგზავრები პალტოს საყელოში ცდილობენ ჩამალვას. ერთ-ერთ კუთხეში ახალგაზრდა ქალი ზის. კალთაში ჩვილი უწევს. ბავშვი ჭირვეულობს და ქალი ყოველნაირად ცდილობს მის დამშვიდებას.

— იქნებ შეცივდა? — თითქოს თავისთვის ამბობს ქალის პირდაპირ მჯდომი უცნობი მამაკაცი და თანაგრძნობით სავსე თვალებით ჩვილის თხელ საბანს დასცქერის. მერე კაცი დგება, თბილ ჯუბას იხდის და ქალს აწოდებს:

— ჩაათბუნეთ, მე ისედაც თბილად ვარ ჩაცმული.

უარს ვერ იტყვი, როცა ასეთი კეთილშობილებით გიწვდიან დახმარების ხელს. ქალი თანხმდება, შვილს ჯუბაში ახვევს. მოისვენა დედის გულმა, შვებით ამოისუნთქა, ბავშვმაც უკლო ტირილს. ერთბაშად დათბა ვაგონში. მგზავრები გამოცოცხლდნენ. საუბარი გააბეს. დიდხანს არ გაგრძელებულა მასლაათი. ვაგონში ჟანდარმები შემოცვივდნენ. ისინი ხელის ფანრით ანათებდნენ მგზავრთა სახეებს, ჩხრეკდნენ კალათებსა და ხელჩანთებს.

ჩოფურა ჟანდარმი კეთილ მამაკაცს მიუახლოვდა.

— საბუთები! — მოკლედ მოჭრა მან. მერე თავის თანაშემწეებს ანიშნა, ახლოს მისულიყვნენ. კეთილი კაცი წამოდგა. მარჯვენა ხელის მოკლე გაქნევით მოცელა ჩოფურა. ვაგონში ჩამობნელდა. შემდეგ მინის წკარუნი გაისმა და ფანჯრიდან ცივი ჰაერის მასა შემოიჭრა. სადღაც ქვიშის ჩხრიალი გაისმა.

ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. ჟანდარმები გვიან მოვიდნენ გონს. ერთ-ერთმა ჯუბა შენიშნა.

— შენი საბუთები! — დაუყვირეს ქალს.

ქალმა მორჩილად გაუწოდა საბუთი.

— ებრალიძე პელაგია ბესარიონის ასული! — წაილაპარაკა ჟანდარმმა. მერე თავისიანებს მიუბრუნდა: — პიტოევის ქარხნის მუშა, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან და ქალს ეჭვიანი მზერა ესროლა.

— რატომ გაიქცა შენი ქმარი!—ჩაეკითხა.

ქალს არც პატიოსანმა სიტყვამ უშველა და არც ფიცმა, რომ ის კაცი ქმარი კი არა, უბრალოდ ნაცნობიც არ იყო მისი. მგზავრების გამოქომაგებამაც ამაოდ ჩაიარა. ქალი მატარებლიდან ჩაიყვანეს.

ის ღამე და მომდევნო დღე ქალმა ჟანდარმერიაში გაატარა. ტიროდა ბავშვი. შიმშილი და სიცივე აწუხებდა დედას და შვილს. ჟანდარმები ერთი წუთითაც არ აცილებდნენ მათ ბოროტ მზერას. ბავშვი იჭაჭებოდა, ხელფეხის შეხსნას თხოულობდა, მაგრამ დედას არ ჰქონდა ამის უფლება, — სახვევებში, ბავშვის პაწაწა სხეულთან საიდუმლო ლიტერატურა ინახებოდა.

ჟანდარმერიის მოხელის მიერ შედგენილ ოქმში, რომელიც ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, პელაგია ებრალიძის საქმეებთან ერთად ამ ინციდენტის გამო შემდეგი სწერია: „1917 წლის 14 თებერვალს ჩვენს მიერ დაკავებულ იქნა ბათუმის პიტოევის ქარხნის მუშა ქალი პ. ბ. ებრალიძე, რომელმაც ხელი შეუწყო დევნილი პირის გაქცევას."

თმადათოვლილ ქალს ახლა ეღიმება ჟანდარმერიის მოხელის შეცდომაზე.

და კვლავ გადადის მოგონებებში.

თებერვლის რევოლუცია. 15-წუთიანი გაფიცვები, რომლებიც ჟანდარმერიის ოქმებში „ქალთა ბუნტის" სახელითაა მოხსენებული. სხვა რევოლუციონერ ქალებთან — ნ. პირუმოვასთან, ტ. სიჩევასთან, ზ. დუმბაძესთან, ს. შარაშიძესთან, ე. დოლიძესთან და სხვებთან ერთად — ამ გაფიცვებს პელაგია ებრალიძეც ხელმძღვანელობდა.

თურქეთისა და ინგლისის ოკუპაციის დროს, აგრეთვე, მენშევიკური დიქტატურის მძიმე დღეებში, ისინი იატაკქვეშელი რევკომის დავალებით სისტემატურ კავშირს ამყარებენ ქალაქის მუშებსა, ჯარის ნაწილებსა და გლეხობას შორის.

1921 წლის 18 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. გაზეთები აჭრელდა ქალაქში შემოსული წითელი არმიის ჯარისკაცთა სურათებით. მათთან ერთად ექვსიოდე წლის ბიჭუნაც იყო გადაღებული ბაირაღით ხელში. ის პელაგიას პირმშო გახლდათ, რომლის სხეულთან რევოლუციონერი დედა აკრძალულ ლიტერატურას მალავდა და ისე გადაჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პელაგია ერთნაირი გატაცებით მუშაობდა ჯერ ბარცხანის (ფერიის) სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ — ბათუმის საბაჟოში, ხოლო კოლექტივიზაციის გატარებისას — კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში.

პერსონალური პენსიონერი პელაგია ებრალიძე ახლაც ჩვეული ენერგიით ასრულებს ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებას.

დავით ასკურავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. გორაკოვა

# როგორ მოვუღოთ ბოლო ომებს

ამას წინათ ჩემმა პატარა ბიჭმა პირველად მომმართა არა როგორც დედას, არამედ როგორც ჟურნალისტს. ის შუა ოთახში იჯდა, გარშემო სათამაშოები ეყარა და საძნელო საქმე ელოდა: კოლოფში უნდა ჩაეწყო კუბურები და სათამაშო მატარებლები. მისი პატარა ხელები ბორბალს აბრუნებდა, თავი კი ფიქრში იყო გართული.

— დედა, შენ ჟურნალისტი ხარ?

— კი. აალაგე სათამაშოები!

— მაშინ დაწერე გაზეთში, რომ გაყიდონ ისეთი რობოტი, რომელიც თვითონ აალაგებს.

— ადამიანები რომ ისეთი ზარმაცები იყვნენ როგორც შენ, რობოტს ვერასოდეს გამოიგონებდნენ. ასე რომ, აალაგე!

მაგრამ ის ისევ თავისას ფიქრობდა:

— და დაწერე, რომ ისინი გაყიდონ თვითმომსახურების მაღაზიებში (რომ მას არ დაჭირდეს დახლთან მისვლა და იმის თქმა, რა სურს!), იქ, სადაც საპონი იყიდება (და რომ ის მაღაზია იყოს რაც შეიძლება ახლოს. აი როგორია, ყველაფერს ითვალისწინებს!..).

თუმც მე ჟურნალისტი ვარ, მაგრამ დადგა მომენტი, როცა მომიხდა საქმეში ჩარევა, როგორც დედას.

* * *

ბავშვებმა კვლავ გაიხსენეს ჩემი პროფესია, ოღონდ სხვაგვარად. ეს დაიწყო არდადეგების დროს. ჩვენ დავდიოდით სოკოს საკრეფად, დავდიოდით ნაკრძალში შველების სათვალთვალოდ, ვაკითხავდით დიდედას საფლავს და ვასწორებდით ქოთნებს, რომლებსაც ღამე ქარი აქცევდა. ვიხედებოდით საქონლის ბაკში, კარგად აჭამა თუ არა დეიდა იაშკოვამ გოჭებს, მოუტანა თუ არა ბალახი კურდღლებს...

მე ანგარიშს ვუწევდი მათ ინტერესებს, და ისინიც — ჩემსას. მაგალითად, არ ხმაურობდნენ, როცა მე რადიოთი ვისმენდი უკანასკნელ ცნობებს.

მაგრამ ერთხელ უფროსმა ვაჟმა მკითხა:

— რატომ უსმენ ყოველდღე ომის ამბებს? ომის ამბებს?

ჰო, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ის ჩემზე ბევრს უსმენდა...

— რა უნდა გამოვიდე, რომ არასდროს არ ვიყო ჯარისკაცი? — ასე იწყებდა ის თავის საყვარელ საუბარს მომავალ პროფესიაზე. განა იმიტომ, რომ სურდა თავი წარმოედგინა მფრინავად ან მეფარნედ. მას ყველაზე მეტად შეკითხვის მეორე ნაწილი აინტერესებდა.

— იქნებ, შენ აღარც კი მოგიწიოს ჯარისკაცობა. — ვუთხარი მე.

მაგრამ მან განაგრძო:

— ომი თუ იქნა?

მე შევეცადე დამეწყნარებინა.

— ომი აღარ იქნება.

— მაგრამ, თუ ის მაინც იქნება? ომი ამ ქვეყნად ყველაფერზე ცუდია.

* * *

ჩვენ დავდივართ ტყეში სოკოებზე, დავდივართ ნაკრძალში შველების სათვალთვალოდ, ვკრეფთ ყვავილებს ცოცხლებისა და მკვდრებისათვის — ჩვენ ვცხოვრობთ მშვიდობიან დროში, — და უცებ ჩვენს წინაშე კვლავ აღიმართება საშინელი აჩრდილი, მსგავსად იმ ნაღმისა, რომელიც დარჩა წარსული ომის დროს ტბის ფსკერზე და ნახეს წყლის გაშვებისას. ის ნაღმი კი ხალხმა უვნებელჰყო, მაგრამ ომი?

ხანდახან, მწუხრისას ჩვენ ვუყვებით ერთმანეთს შავ ქალაქზე, სადაც არის შავი ქუჩა, შავ ქუჩაზე — შავი სახლი, შავ სახლში — შავი ოთახი, შავ ოთახში — შავი მაგიდა, შავ მაგიდაზე — შავი კუბო, შავ კუბოში — გამოიცანით, რა არის შიგ — რა თქმა უნდა, ქაჯი! და ვიდრე ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ, ყველას გვეშინია, მაგრამ თითქმის სიამოვნებასაც კი გვგვრის ეს შიში, რადგანაც შავი ქალაქი მთელს დედამიწაზე არსად არ არის.

ომი კი არის. ომი რომ არ ყოფილიყო, ჩვენს ბავშვებს ეყოლებოდათ მეორე ბაბუა და მეორე ბებია. ომი არსებობს. მისი ეშინია დედას, დეიდას, მამას. მაშასადამე, ომი უთუოდ ყველაზე ცუდია, რაც ამ ქვეყანაზე არსებობს.

* * *

— დედა, დედა, მე უკვე მოვიფიქრე! — წამოიძახა თავისი გამოგონებით აღტაცებულმა ჩემმა უფროსმა ბიჭმა, — უნდა გაკეთდეს იმდენი ტანკი, რომ თითოეულ მებრძოლს ჰქონდეს თავისი. მაშინ ყველა თავის ტანკში ჩაიმალებოდა, ჰოდა, ვერავინ მოკლავდა ვერავის, და ომიც აღარ იქნებოდა.

მაგრამ მას უმალვე იპყრობს ეჭვი:

— შეიძლება ტანკის გახვრეტა?

— კი.

— ჯავშნისაც? — კითხულობს უმცროსი.

— ჯავშნისაც.

უფროსი იმედგაცრუებულია, მისი გეგმა ჩაიშალა, უმცროსი კი გულს არ იტეხს:

— ჩვენ მათ ჯავშანს გავუხვრეტავთ.

უფროსი აჩუმებს:

— სულელო! თუკი სროლა ატყდა, — ეს ხომ უკვე ომია!

მაგრამ დღეს ეტყობა უნდა დასრულდეს ყველა სამხედრო საზრუნავი:

— იცი, როგორ შეიძლება ბოლო მოვუღოთ ომს? მე რომ ჟურნალისტი ვიყო, გამოვუშვებდი გაზეთს, დავუსვამდი მას ფაშისტების ნიშანს და ფაშისტეთში გავგზავნიდი. ისინი იფიქრებდნენ, რომ ეს მათი გაზეთია და დაიწყებდნენ მის კითხვას. და იცით, იქ რას ამოიკითხავდნენ?

ის მთლად გაწითლდა მღელვარებისაგან:

— იქ ეწერებოდა, რომ ბრძოლა არ შეიძლება, რომ ისინი ომს წააგებენ. და მეტი აღარ იქნებოდა ომი.

უდიდესი აღმოჩენები ზოგჯერ ძალიან უბრალოდ ხდება.

ის აღფრთოვანებულია თავისი გეგმით. მე მას თავზე ვუსვამ ხელს. ასეთ პატარა თავებში არ უნდა იყოს ასეთი დიდი საფიქრალი.

ჩემი დუმილით ის უკმაყოფილოა.

— დედა, როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა ასე გაგვეკეთებინა? მართლა, ხომ შეიძლება? შენ ხომ ჟურნალისტი ხარ.

მე მას ვუდასტურებ. მაგრამ ძრწოლა მიპყრობს...

ის მიყურებს აღტაცებით და განუსაზღვრელი ნდობით: დედას ყველაფერი შეუძლია, დედას შეუძლია მოსპოს ომი.

# საყვარელი ნახატები



კობა კობახიძე. 7 წლის
„ჩემი ცხენი“.

საყვარელი ნახატები... ქაღალდზე დახრილი პატარა თავები — ქერა, წაბლისფერი, შავგვრემანი. სამყაროს ყოველ კუთხეში, ყოველ ოჯახში ისინი ხატავენ ფერებით, სიტყვებით. ხატავენ ყველაფერს, თითქმის ყველაფერს, რაც მათ ირგვლივაა; ხატავენ გულუბრყვილოდ, უშუალოდ და მათი ბავშვური გულითაა გამთბარი გაუწაფავი ხაზები; ისინი ხატავენ სასაცილო კაცუნებს, ბრდღვიალა, ნარინჯისფერ მზეს, უზომოდ დიდ ყვავილებსა და პატარა ხეებს, დაწინწკლულ სოკოებს, ფრიალაკაბებიან გოგონებს, მედიდურ პიონერს... და ჩვენ გვიხარია მათი „ხელოვნება“, საგულდაგულოდ ვინახავთ ამ ფურცლებს, მათი ბედნიერი ბავშვობის ფერად ფურცლებს.

ზოგიერთ მათგანზე გვსურს გესაუბროთ, ჩვენო მეგობრებო. აი, უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი დათო ჭუმბურიძე — ჭედური ხელოვნების პატარა ოსტატი. დათოს მისწრაფება აუცილებლად განაპირობა მშობლის პროფესიამ: მამამისი — აკაკი ჭუმბურიძე მოჭანდაკეა და პატარა დათო ხშირად ტრიალებდა მის სახელოსნოში. და მოხდა ისე, რომ 9 წლის ბიჭმა საჭრეთელი აიღო ხელთ. ჯერ კი ქაღალდზე მოხატა ჭორიკანა ბაჭიების კონტური, თოვლის ბაბუას გაღიმებული სახე, ვაჟა-ფშაველას დაფიქრებული თვალები... მერე შეარჩია თითბერი, ალუმინი, სპილენძი და ბავშვურ ჩანაფიქრს ლითონზე შეასხა ფრთა. მისმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. ჩვენი პრესის ფურცლებზე არაერთხელ გამოაქვეყნეს ისინი. ტელევიზიითაც გააცნეს მაყურებელს „ნიკა პაპა“ და „ტუხაანთ ბიჭი“, „სამი ძმანი გურულები“ და „დაე, მუდამ იყოს მზე“.



კობა კობახიძე
„შეაშინა“.

ჩვენ ვეყავით ამ ნიჭიერი ბიჭუნას „სახელოსნოში“. პატარა ოთახის კედლებზე მისი ნამუშევრებია გამოფენილი. ბუნებრივია ინტერვიუ პატარა ოსტატთანაც ტრადიციული შეკითხვით დავიწყეთ: რა სიახლეა მის შემოქმედებაში? დათომ გვაჩვენა ახალი კომპოზიციები: „ჩემი ზიზია პალტო“, „დასჯილი აბეზარა“, „ყაყაჩო ხნულში“, „მტირალა მაია“, „ოცნება მთებში“, „ბუტია“, „დილა მშვიდობისა“. აღსანიშნავია, რომ თუ აქამდე დათო პორტრეტებით იყო გატაცებული, ახალ ნამუშევრებში უკვე თავისუფლად შეაქვს პეიზაჟი. მშვენიერია მისგან გავლებული ხნული, მაღლა აზიდული წოწოლა მთები, მზის დისკო...

დათოს ვთხოვეთ ეჩვენებინა როგორ მუშაობს იგი ლითონზე. მან გადახსნა ხელსაწყოების ყუთი, აიღო საჭრეთელი და სტეკი და დინჯად შეუდგა მუშაობას. მერე გაზქურაზე გამოსაწრთობად შედო ლითონი. საქმიანობისას დათო დაწვრილებით გვიხსნიდა თითოეულ დეტალს, თითოეულ შტრიხს და გულწრფელად უკვირდა ჩვენი უცოდინარობა ჭედურ ხელოვნებაში.

დამშვიდობებისას, დათოს კვლავ ტრადიციულად შევეკითხეთ, რა სიახლეს გვპირდება იგი მომავალში?

და ცხრა წლის დათო ჭუმბურიძემ ბევრი რამ გვიამბო მომავლის გეგმის შესახებ. გვითხრა, რომ ოქტომბრის რევოლუციის დიად საიუბილეო თარიღს უნდა მიუძღვნას დიდი ლითონი: „ჩვენ ომობანას აღარ ვითამაშებთ“. ბავშვებმა გაიგეს, რა საშინელება მოაქვს ომს კაცობრიობისათვის. ამიტომ დაყარეს სათამაშო თოფები, ტანკები და ხელები მაღლა ასწიეს: „ჩვენ ომობანას აღარ ვითამაშებთ“. მშვენიერია დათოს სხვა ჩანაფიქრიც: „უშველეთ მზეს“. მოკლეშარვლიანი ბიჭუნა გაღვიძებისთანავე გარეთ გამოსულა. ზურგით აფარებია დიდ მზეს და ხელები ზევით აუწევია მის დასახსნელად.

შვიდი წლის ლია ბერიძესა და ექვსი წლის ქეთინო ქვაჩახიას „შემოქმედებას“ რაღაც საერთო აქვთ ერთმანეთთან. ეს გოგონები ხატავენ პეპლებს, ხელჩანთიან ლამაზ ქალიშვილებს, ფარშევანგებს, თოჯინებს. ოღონდ ესაა — ლია ბერიძის ნახატები უფრო ყოფითი ამბებითაა შემოფარგლული: „ვინ გაარტყა სარეცხს ბურთი“, „მეძინება“, „ძია მილიციონერს ძაღლი მიჰყავს“. ესაა მისი ცხოვრების ქრონიკა. გოგონას ეძინება და დედა ფრთხილად დადის მის საწოლთან, ონავარმა ბიჭებმა ბურთი მიარტყეს ეზოში გაფენილ სარეცხს და მიიმალნენ, ძია მილიციონერს სადავით მიჰყავს მეძებარი ძაღლი. ესაა სამყარო, ბავშვის თვალის პრიზმაში თავისებურად გადამტყდარი.

ექვსი წლის ქეთინო ქვაჩახია უფრო პოეტურია. იგი ხატავს გვირგვინოსან მინდვრის დედოფლებს, ფრთამოხატულ ფარშევანგებს, საკუთარ თოჯინებს, მოცეკვავე გოგონებს. მან თავისებურად აღიქვა თანამედროვე ქალიშვილთა ტიპიური სახეც. მის მიერ დახატულ გოგონებს მოდურადა აქვთ თმა მაღლა აწეული და თავისებური ჩანთებით იწონებენ თავს. ქეთინოს ძალიან უყვარს თავისი ბიძაშვილები — ია და პატარა მიშიკო. ამიტომ მათი „პორტრეტებიც“ შექმნა. ოღონდ ესაა, რომ ნახატზე ჩვილი მიშიკო თავის უფროს დაზე უფრო მოზრდილი ჩანს. ქეთინოს ძალიან იტაცებს „ვეფხისტყაოსანის“ თემა. განსაკუთრებით ნესტან-დარეჯანის სახე ხიბლავს. ამიტომ იგი გატაცებით ხატავს ტარიელის გულისსწორს. თუმცა ნესტანს თითქმის თანამედროვე კაბა აცვია, ქეთინო ქვაჩახია მაინც დაბეჯითებით გვარწმუნებს — ეს ნესტან-დარეჯანიაო...

ბედნიერი საქართველო ამღერებს ჩვენს ნორჩებს. ამღერებს საქართველოს მზე და ფერები. დაე, მარად გვახარებდეს მათი ფერადი ქაღალდები!

**ნაზი კილასონია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქეთინო ქვაჩახია. 6 წლის.
„გოგონა ყვითელი ბაფთით“.



ქეთინო ქვაჩახია.
„ჩემი ბიძაშვილები“.



ლია ბერიძე. „მზე ამოვიდა“



[illegible] 7 წლის.
„[illegible]სარეცხი გაფენა“.



[illegible]შვილი. 9 წლის
„[illegible] კლასებში“.



ვახტანგ კალანდაძე. „პეიზაჟი“.



ვახტანგ კალანდაძე. 13 წლის.
„ჩემი ძმა“.

9 წლის დათო ჭუმბურიძის ჭედურობა.





ვაჟა-ფშაველა

„ჩემი დედიკო".





„ყაყაჩო ხნულში".

„მუტია".





„პაპა".

„დავლიოთ ქართული ჩაი".



ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიამბობთ დათვალიერების შედეგებზე**

# ჩვენი მომავლისათვის

ლატვიაში საბჭოთა მეურნეობა „უმურგას" ჰყავს სპეციალური ავტობუსი, რომელიც ორშაბათ დილით სახლებში ჩამოუვლის პატარებს, ჩაისვამს და მიჰყავს საბავშვო ბაღში, სადაც ისინი შაბათამდე რჩებიან.

როსტოვის ოლქში კიროვის სახელობის კოლმეურნეობას 1963 წლამდე საბავშვო დაწესებულებები მხოლოდ სეზონური ჰქონდა. კოლმეურნეობაში ახლა მთელკვირიანი ექვსი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღია, სადაც 530 ბავშვი უფასოდ იზრდება.

უზბეკეთში, ფერგანის ოლქში არის „ბეშარიკის" საბჭოთა მეურნეობა, სადაც საბავშვო დაწესებულებები უშუალოდ ბრიგადებთან არის გახსნილი.

თითქმის ყველა დედას 3–4 ბავშვი მიჰყავს უზბეკეთის სს რესპუბლიკის ჩიმკენტის ოლქის კოლმეურნეობა „პობედის" საბავშვო ბაღში, სადაც ბავშვები უფასოდ იზრდებიან, განუსაზღვრელი აქვთ რძე, ხილი, ბოსტნეული, და როცა მწველავები მთაში დიდი ხნით მიდიან, შვილებს გულდამშვიდებულნი სტოვებენ.

დნეპროპეტროვსკის ოლქში არის საბჭოთა მეურნეობა „ვოლნიანსკი". ქალთა საბჭოს ინიციატივით იქ 1964 წელს გაიხსნა საბავშვო კომბინატი „კრასნაია შაპოჩკა". მისი კეთილმოწყობისათვის კომბინატის დირექციამ არ დაიშურა სახსრები და ზრუნვა.

შავი ზღვის პირას, კრასნოდარის მხარეში, „დაგომისის" საბჭოთა მეურნეობას აქვს შესანიშნავი სასახლე ბავშვებისათვის, რომელიც ცალკე ბრიგადებთან არსებული საბავშვო ბაღების ბაზაზე გაიხსნა. აქ 300 ბავშვია. ცენტრალიზაციამ ხელი შეუწყო აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას.

გასაოცარი, ამაღელვებელი განწყობილება სუფევდა დარბაზში, ადამიანები შეკრებილიყვნენ ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში, ძალიან ახლობელ, საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ, შეკრებილიყვნენ იმისათვის, რომ შეეჯამებინათ 1966 წლის საკავშირო დათვალიერების შედეგები სოფლად საბავშვო დაწესებულებების მუშაობის შესახებ. ყველასათვის მთავარი საზრუნავი გამხდარიყო ბავშვი, მისი სწორი აღზრდა-განვითარება, და ისინი — საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმძღვანელები, აღმზრდელები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები თავიანთი ბაგებისა და ბაღების მუშაობაზე ჰყვებოდნენ ისე, როგორც დიდ საჭირბოროტო ამბებზე. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. ისინი ხომ ამ დათვალიერებაში გამარჯვებულები იყვნენ. მათი საბავშვო დაწესებულებები ხომ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი აღმოჩნდნენ.

პირველი პრემია, ვიმპელი და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ფერგანის ოლქის საბჭოთა მეურნეობამ „ბეშარიკმა", როსტოვის ოლქიდან — კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ. მეორე პრემია, ვიმპელი და მეორე ხარისხის დიპლომი მიიღეს დნეპროპეტროვსკის ოლქიდან — საბჭოთა მეურნეობა „ვოლნიანსკიმ", ჩიმკენტის ოლქიდან — კოლმეურნეობა „პობედამ", ლატვიის სს რესპუბლიკიდან — საბჭოთა მეურნეობა „უმურგამ".

დაჯილდოებულები კიდევ ბევრნი იყვნენ. ზოგმა მესამე პრემია, ვიმპელი და მესამე ხარისხის დიპლომი მიიღო, ზოგმა — მესამე ხარისხის დიპლომი და ვიმპელი. შეკრების ბევრი მონაწილე დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

ჩვენი რესპუბლიკიდან დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და ოზურგეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ისინი მესამე ხარისხის დიპლომით და ვიმპელით დაჯილდოვდნენ.

დათვალიერებაში მონაწილე სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლები ჰყვებოდნენ, რომ მათი დღევანდელი წარმატებები იოლად არ არის მიღწეული. ბევრი, ძალიან ბევრი სიძნელეები გადალახეს, სანამ დაიმსახურებდნენ საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებულის სახელს. ეს სიძნელეები შეიძლება კვლავაც იდგეს ბევრი ბავშვთა დაწესებულების წინაშე. კამათი გაიმართა იმაზე, რომ ბევრ სოფელში, ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის საბავშვო დაწესებულება, აშენებენ ცოტას, ანდა აშენებენ უხარისხოდ. მისასალმებელი იყო კალუგის ოლქის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის გ. პრუდნიკოვის წინადადება, რომ საბავშვო დაწესებულებების მშენებლობისას გაითვალისწინონ მომავლის პერსპექტივები, ააშენონ შენობები არა 25–30 ბავშვისათვის, არამედ უფრო გაზრდილი კონტინგენტისათვის, რაც 10–15 წლის შემდეგ გვეყოლება.

კიდევ უფრო ძნელი შეიქნა სოფლად ბავშვთა დაწესებულებებისათვის მოწყობილობის შეძენა. სოფლის მშრომელებმა შესანიშნავად მოაწყვეს ბინები, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში კი შეუფერებელია გრძელი სკამები, ძველი, ხმარებიდან გამოსული მაგიდები. ჩვენი ბავშვები უნდა გაიზარდონ ფიზიკურად ჯანმრთელნი, ლამაზნი, გემოვნებიანნი. ამიტომ მათ ლამაზი, თანამედროვე, მოხდენილი ავეჯი სჭირდებათ. ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოლამდელი დაწესებულებების ეკონომისტ-მეთოდისტმა ნ. ერემეევამ თათბირზე კარგი გამოსავალი დაუსახა საბავშვო დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან მოიყვანა მათი რესპუბლიკის ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის მაგალითი, სადაც აქვთ კარგი სადურგლო სახელოსნო გამოცდილი სპეციალისტებით. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაწყვიტა ხისგადამამუშავებელი დაზგებით მოემარაგებინა ეს სახელოსნო, რომ მას ბავშვთა სხვა დაწესებულებებისთვისაც დაემზადებინა ავეჯი. შესანიშნავი გამოვიდა მათი ავეჯის პირველი საცდელი ნიმუშები.

დათვალიერებაში მონაწილე საბავშვო ბაღებს კვალიფიციური პედაგოგები ჰყავთ. ეს აუცილებელიცაა ასე იყოს, რადგან მათ ხელშია ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარება. საბავშვო ბაღებში ხდება ბავშვის მომზადება სკოლისათვის, მათი გონებრივი ზრდა, დაკვირვების უნარის განვითარება, მეტყველების დახვეწა, სწორი გამოთქმის გამომუშავება. კარგად დაყენებულ აღზრდაზეა დამოკიდებული, რომ ბავშვებს შეუყვარდეთ კოლექტივში ყოფნა, გამოუმუშავდეთ კარგი ჩვევები, ფიზიკურად იყვნენ ჯანსაღნი, გამოავლინდეს მათი შესაძლებლობანი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ყოველივე ამასთან ერთად დათვალიერებაზე გამარჯვებული საბავშვო ბაღები დიდ როლს ანიჭებენ ბავშვის იდეური აღზრდისათვის დღესასწაულების ჩატარებას, უფროსთა შრომის გაცნობას, ბუნებასთან სიახლოვეს, აქედან ჩანს, თუ საერთოდ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიციურ აღმზრდელს.

ყველა საბავშვო დაწესებულება კი როდია დაკომპლექტებული ასეთი კადრებით. ეს ამბავი ჯერ კიდევ საერთო საზრუნავია. პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ საინტერესო იყო ბელგოროდის ოლქის შებეკინსკის კპ რაიკომის მდივნის ა. სნოპჩენკოს გამოსვლა, მან აღნიშნა, რომ სოფლის საშუალო სკოლებთან პედაგოგიური კლასების შექმნა, რაც ამჟამად ხორციელდება რაიონში, სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგთა კადრების ზრდის საშუალებაა.

საკავშირო დათვალიერების შედეგებმა ნათელი გახადა, რომ იგი ორგანიზებულად ჩატარდა. დათვალიერებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, გამოავლინა ნაკლოვანებანი მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მშენებლობაში, კადრების შერჩევაში. რაც მთავარია, მან გაამახვილა საზოგადოებრიობის ყურადღება უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. დათვალიერების ორგანიზატორები იყვნენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი, ჟურნალ „კრესტიანკას" რედაქცია.

საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და მუშაკების სურვილით გადაწყდა, რომ დათვალიერება გაგრძელდეს მთელი საიუბილეო — 1967 წლის მანძილზე.






# მომავალ მათემატიკოსებთან









უკანასკნელ წლებში მეცნიერების მკვეთრმა აღმავლობამ განაპირობა მათემატიკის როლის ზრდა. სწორედ ამან გამოიწვია თბილისში ახალი ტიპის მათემატიკური სკოლის შექმნაც. სკოლისადმი დიდ მზრუნველობას იჩენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკადემიასთან არსებული გამოთვლითი ცენტრი, საქართველოს სსრ მათემატიკური საზოგადოება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, აგრეთვე უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და ფიზიკის ფაკულტეტის დეკანატები.

სკოლაში თავისუფალი აზროვნების ატმოსფერო სუფევს. იგი მრავალგზის ნაცადი მეცნიერული პრინციპებით ხელმძღვანელობს. აქ თავმოყრილი სამყაროზე შეხედულების მატერიალისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ცოდნის მარაგი ჯანსაღი აზროვნების საწინდარია. ზოგიერთისთვის იგი, შემდგომში, მეცნიერების ძნელ გზაზე, შეიძლება დიდი აღმოჩენის იმპულსადაც იქცეს.

ვესაუბრები მათემატიკის სკოლის დირექტორს ო. ღლონტს. ის ამბობს: მათემატიკის სკოლა დაარსდა 1961 წელს. იგი ემსახურება თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეებს, მიღება ხდება მერვე კლასიდან წინასწარი გასაუბრების შემდეგ. წელს სკოლას მესამე გამოშვება ეყოლება.

პირველი გამოშვების ორმოცდახუთი მოსწავლიდან ორმოცდახუთივე განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში, ძირითადად მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე.

მეორე გამოშვების ასთორმეტი მოსწავლიდან ასთერთმეტი მოსწავლე (ერთი ავადმყოფობის გამო არ გასულა მისაღებ გამოცდებზე) სწავლობს საქართველოსა და რუსეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში — მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, სამხედრო აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამ სკოლის კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა წარჩინებული სტუდენტია.

მათემატიკური სკოლის პედაგოგებად მოწვეულნი არიან გამოცდილი მეცნიერები. პროფესორი დ. კვესელავა სკოლის დაარსების დღიდან კითხულობს აქ ლექციას. იგი სკოლის დაარსების ინიციატორია, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენაში.

სასწავლო გეგმით სკოლაში ერთიორად მეტი საათები აქვს დათმობილი მათემატიკას, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლებში. აქ გაძლიერებულია ელემენტალური მათემატიკის სწავლება. სასწავლო პროგრამაში შეტანილია უმაღლესი მათემატიკის ელემენტები. სასწავლო საათების რაოდენობით მათემატიკას ცოტათი თუ ჩამორჩება ფიზიკა. ამ საგანსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია და გაცილებით ფართოდ შეისწავლება, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლებში. ამ სკოლის მოსწავლეთათვის რამდენადმე, მათემატიკურად ფართო აზროვნება დამახასიათებელი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩატარებულ მათემატიკურ ოლიმპიადებში ისინი წლების მანძილზე გამარჯვებულნი გამოდიან. ბევრი მათგანი უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას იმსახურებს. სკოლას არაერთგზის აქვს მიღებული მადლობა სხვადასხვა ინსტიტუტიდან.

მათემატიკის სკოლის კურსდამთავრებულებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დ. თეთროქალაშვილმა, მ. დავარაშვილმა, მ. მირიანაშვილმა, ე. ლაგვილავამ, ს. ხაჟომიამ, დ. თევზაძემ, ა. მალეევმა.

გასული სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა ქიმიის გაძლიერებული სწავლების კლასებიც. ამ საქმეში სკოლას დახმარება გაუწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა ნ. ფირცხალავამ. ამ საქმის ენთუზიასტები არიან აგრეთვე სპეციალური საგნის პედაგოგები: ა. გამაზოვი, კ. სტეპანოვი, ქ. ტუსკია და სხვები. სკოლაში ზოგადი ქიმიის კურსს კითხულობენ პროფესორი ვ. კოკოჩაშვილი და მეცნიერების კანდიდატი გ. თალაკვაძე, მათივე უშუალო მონაწილეობით იქნა შემუშავებული ზოგადი ქიმიის სწავლების პროგრამები.

ქიმიის გაძლიერებული სწავლების კლასების პირველი გამოშვება წელს იქნება.

მათემატიკურ სკოლაში მიღებული ცოდნა წინაპართა ის მდიდარი მემკვიდრეობაა, რომელსაც ახალგაზრდები შემდეგში რაიმეს შეუმატებენ და თავიანთ მომავალს ჰაეწილებენ.

მ. გოგუაძე

## ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის



# საზოგადო მოღვაწე

„ჭინჭარაულებმა მესამე დღეა რძლის ამბავი არაფერი იციან, ბოსლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმისო", — საიდუმლოდ შეატყობინეს დუშეთის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგეს თამარ შერმადინს.

ბინდდებოდა. თამარი ჯანმრთელობის განყოფილების გამგესთან ერთად ცხენით გაუდგა გზას ჭინჭარაულების სოფლისაკენ. ძნელი იყო ღამით საცალფეხო ბილიკებზე სიარული. ყოველ წუთს შეიძლებოდა გამოჩენილიყვნენ ყაჩაღები, რომლებიც მაშინ ძალიან მომრავლდნენ.

ერთ-ერთ ხეობასთან მაინც შეხვდნენ ყაჩაღებს და პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. თამარმა იარაღის შესანიშნავი ხმარება იცოდა და მოახერხა მათი მოგერიება.

შუაღამისას მიადგნენ ჭინჭარაულებს. ოჯახის წევრებმა თამარი არ შეუშვეს მშობიარესთან, „უწმინდურიაო" და არ შეიძლებაო.

ქალს თურმე სამი დღის განმავლობაში საკვებს ნიჩბით უცურებდნენ საგანგებოდ გამოჭრილ ხვრელში. ბოსელში შეხედვას და შესვლას კი ვერავინ ბედავდა. იწვა ქალი ჩალაზე მარტოდმარტო და ყოველ წუთს ელოდა სიკვდილს...

თამარმა არ დაუგდო ყური მამაკაცების მუქარას, შემატვრია ბოსლის კარი და საზარელი სურათი დაინახა: ბავშვი და ქალი, ტალახში ამოსვრილები და ერთმანეთს მიკრულები, მკვდრები ეყარნენ. დიდი იყო ამ სანახაობით გამოწვეული განცდა, სამუდამოდ დარჩა თამარს მეხსიერებაში ადამიანთა უმეცრებით მომხდარი ტრაგედია. მან იმ დღიდან დაიწყო ბრძოლა ძველი, დასაგმობი ადათ-წესების წინააღმდეგ.

მაშინ დუშეთის მაზრის ტერიტორია მცხეთიდან კავკასიონის ქედამდე იყო გადაჭიმული. აქ ცხოვრობდნენ ხევსურები, ფშავლები, თუშები, მოხევეები, ოსები... მათ თავიანთი ჩვეულებები ჰქონდათ. ძნელი იყო სხვადასხვა ხასიათის ხალხის დაჭერება და ახლებურად გარდაქმნა. თამარი თანაგრძნობას უწევდა ბევრ რამეში, მათსავით იცვამდა, ხმარობდა ქალამნებს, იხურავდა თავსაბურავს, დააჭენებდა ცხენს, გაიჩინა დობილები და ძმობილები. ხალხს მოსწონდა მისი უბრალოება და კაცთმოყვარეობა, პატივს სცემდნენ გულკეთილობისათვის. ხალხის სიყვარულის მიუხედავად, თამარი მაინც აწყდებოდა წინააღმდეგობებს, განსაკუთრებით ქალის ოჯახიდან გამოყვანისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის თაობაზე. დიდ დასაყრდენს თამარი სადელეგატო კრებებში ხედავდა. სადელეგატო კრებაზე წყდებოდა ყველა მტკივნეული საკითხი. ქალებს აცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლების რაობას, კომუნისტური პარტიის პროგრამასა და წესდებას. ქალები ხალისით შედიოდნენ კომკავშირისა და პარტიის რიგებში.

ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის მიზნით თამარმა დუშეთში ჭრა-კერვის სკოლა ჩამოაყალიბა. მშობლები წინ აღუდგნენ ამ სკოლაში თავიანთი შვილების სწავლებას.. სადელეგატო კრებებისა და აგიტაციის გამოყენებით თამარმა მოახერხა ჭიუტი მთის ხალხის დაყოლიება. დუშეთის ჭრა-კერვის სკოლას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე სუსანა შავერდოვა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ვარო ჯაფარიძე ეწვივნენ, მათ მოიწონეს მუშაობა, სკოლა ოთხი საკერავი მანქანით დაასაჩუქრეს, ხოლო ხევსურ ქალებს თბილისის ხელსაქმის სკოლაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ოთხი ადგილი გამოუყვეს. ოთხი ხევსური ქალის წამოყვანა არც ისე ადვილი საქმე იყო. თამარმა, როგორც იყო, დაიყოლია მათი მშობლები, საგანგებო ხელწერილებიც კი მისცა თითოეულს და ისე წამოიყვანა ორწლიან სასწავლებელში. ისინი დღეს დუშეთის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მოწინავე მუშაკები არიან.

კიდევ ერთი კარგი საქმის მოთავეა თამარ შერმადინი. მაშინ დუშეთის მაზრაში ბევრი უდედმამო ბავშვი იყო, რომელთაც თავშესაფარი, საზრდო და მომვლელი სჭირდებოდათ.

თამარმა აღრიცხა უდედმამო ბავშვები და სამაზრო კომიტეტის სხდომაზე გაიტანა საკითხი. თამარმა საკუთარი რვაოთახიანი სახლი დაუთმო ბავშვებს საცხოვრებლად. ხელმძღვანელმა მუშაკებმა მატერიალური სახსრები გაიღეს მათთვის.

1922 წელს თამარი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით აჭარაში გაიგზავნა. ქალაქ ბათუმში მან აჭარელ ქალთა კლუბი ჩამოაყალიბა, რომლის დანიშნულება აჭარელი ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა იყო. კლუბთან შეიქმნა ჭრაკერვის, ქარგვის, წერა-კითხვის შემსწავლელი წრეები, თითოეულ წრეში 20-25 ქალი იყო გაერთიანებული. კლუბში წრეობრივი მუშაობის გარდა ხშირად ეწყობოდა ლექცია-საუბრები აქტუალურ საკითხებზე.

1928 წელს აჭარაში დაიწყო ჩადრის ახდის მოსამზადებელი მუშაობა. ამ საქმეს სათავეში თამარ შერმადინი ჩაუდგა. ქალებს შეგნებულად და ძალდაუტანებლად რომ ჩამოეხსნათ ჩადრი, მიმდინარეობდა ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ეწყობოდა ლექციები და მოხსენებები. ქალთა შორის მუშაობის შესამოწმებლად აჭარაში ხშირად ჩადიოდნენ ვარო ჯაფარიძე და მარიამ ორახელაშვილი. ისინი გამოდიოდნენ აჭარელი ქალების წინაშე მოხსენებებით და განუმარტავდნენ ქალთა უფლებებს.

მეტად ძნელი იყო რელიგიის მსახურთა და ძველი შეხედულებების ადამიანების წინააღმდეგობის დაძლევა და თამარი აგიტაციიდან პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდა, დაიწყო ჩადრის მოხსნის კამპანიები. კამპანიებს ატარებდნენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული აქტივისტები. ხშირი იყო შემთხვევა, როცა კრებებზე მოსული ქალები იქვე იხსნიდნენ ჩადრს და შინ ისე ბრუნდებოდნენ.

1929 წლიდან თამარ შერმადინი თბილისის ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგეა, უფრო გვიან — თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე. იგი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი, მრავალი წელი იმუშავა თბილისის სამკერვალო კომბინატის დირექტორად.

თამარ შერმადინმა საქმით დაამტკიცა, თუ რა შეუძლია განათლებულ და თავისუფალ ქალს. მან უნარიანად შეათავსა სამი შვილის დედობა და მეუღლის საპატიო მოვალეობა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

ნანული ბუკია

# ႣႠႣႠႪႣႬႨ

ჯორჯიაშვილის ქუჩას მივყვები. მყუდრო სახლის წინ ვჩერდები და მემორიალურ დაფაზე წარწერილ სიტყვებს ვკითხულობ: „ამ სახლში 1843-1875 წლებში ცხოვრობდა ცნობილი მწერალი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი“.

ჩემი მასპინძლები მიხეილ თუმანიშვილის შთამომავლები არიან — დები ელისაბედი და ელენე. სახლ-მუზეუმს წააგავს მათი ოროთახიანი ბინა. აი, ელისაბედის მიერ შექმნილი საბავშვო ბიბლიოთეკის ერთი კუთხე. მწერლის ქალიშვილს ამ კუთხეში უყვარს ჯდომა, ლამაზი წარსულის მოგონება. ჩვენც იქითკენ გვეპატიჟება. იხსენებს ახალგაზრდობას, იმ დროს, როცა მოწინავე ინტელიგენციამ მთხრობელთა წრე ჩამოაყალიბა. წრის სხდომებზე ირჩეოდა სხვადასხვა ლიტერატურული საკითხები. ელისაბედმა 1923 წელს ამ წრის მუშაობა გაზეთ „განათლების მუშაკის“ მეშვეობით გააცნო საქართველოს მშრომელებს. მთხრობელთა წრის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამოცდილი პედაგოგები და ბიბლიოთეკარები. სკოლებსა და ბიბლიოთეკებში აწყობდნენ მხატვრული კითხვის საღამოებს. ზრუნავდნენ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის.

მართალია, ხანდაზმულია ელისაბედი, მაგრამ მაინც ენაწყლიანად გვესაუბრება. 1909 წელს სწავლის გასაგრძელებლად იგი მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსების ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შევიდა და ქალთა უმაღლესი კურსების ბიბლიოთეკის წრის აქტიური წევრი გახდა. წრის წევრები საკუთარი სახსრების უქონლობის გამო ხშირად აწყობდნენ მხატვრულ საღამოებსა და კონცერტებს. შემოსული ფულით იძენდნენ როგორც სასწავლო, ისე მხატვრულ ლიტერატურას. წრის მდივანს ე. თუმანიშვილს საქმიანი კავშირი ჰქონდა კურსების დირექტორთან სერგეი ალექსის ძე ჩაპლინთან, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა წრეს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ელისაბედი თბილისში დაბრუნდა და საბავშვო ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეგროვება დაიწყო. ქართული წიგნების შეძენაში მას დიდად ეხმარებოდა მამიდა, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, რომელმაც წიგნებთან ერთად მას დასურათებული ალბომებიც გადასცა. ბიბლიოთეკისათვის დიდი შენაძენი იყო ანასტასიას მიერ ნაჩუქარი „ბიძია თომას ქოხის“ ქართული ეგზემპლარი.

საბიბლიოთეკო საქმის სიყვარულით ელისაბედი ყველა გამომცემლობასა და რედაქციას უკავშირდებოდა. ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორის ნინო ნაკაშიძისაგან მან მიიღო ქართული ლიტერატურა, ქართულთან ერთად რუსულ და სომხურ წიგნებსაც მოუყარა თავი და საბავშვო ბიბლიოთეკა დააარსა.

ბიბლიოთეკის როლის შესახებ ელისაბედი ხშირად აქვეყნებდა წერილებს ადგილობრივ პრესაში, აგზავნიდა კორესპონდენციებს კულტურისა და პედაგოგიკის საკითხებზე „ბაქოს“ რედაქციაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში შეიქმნა გამოჩენილი რევოლუციონერის ს. შაუმიანის სახელობის ბიბლიოთეკა, რომლის გამგედ ელისაბედ თუმანიშვილი დანიშნეს. საჭირო იყო დაძაბული მუშაობა. ელისაბედი მთელი ენერგიით ჩაება საქმეში. შემოიღო წიგნების კატალოგების დამუშავების ახალი წესი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიშალა მასობრივი მუშაობა ბიბლიოთეკასთან. ჩამოყალიბდა ე. წ. „მეგობართა წრე“. სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ომის თემატიკას, ეწყობოდა გამოფენები, გამოცდილების გაზიარების მიზნით ელისაბედი ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში.

26 კომისრის სახელობის ბიბლიოთეკაში გადასვლის შემდეგ ელისაბედ თუმანიშვილმა ხელი მოჰკიდა საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ორგანიზაციას. მუშაობის ეს სახე მისთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. ჟურნალ-გაზეთებიდან აგროვებდა ამონაჭრებს და ადგენდა კარტოთეკებს ქართულ და ამიერკავკასიის ხალხთა სხვა ენებზე.

სიყრმის წლებიდან კიდევ შემორჩა ელისაბედს მეგობრები, რომლებთანაც მიმოწერა აქვს.

პენსიაზეა ახლა ელისაბედი, მაგრამ ოდნავადაც არ წყინდება. მას აქვს საყვარელი საქმე. მას ხელთ აქვს დიდი წარსულის მქონე ოჯახის არქივი. დაამუშავა და სისტემაში მოიყვანა პაპის, მამის, დედის, მამიდის ნაწერები და ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა...

ელისაბედის უმცროსი და ელენე საწერ მაგიდას მისჯდომია და გულდაგულ რაღაცას ეძებს, ალბათ, გრძნობს, რომ მალე კითხვით მასაც მივმართავთ, და აი, საუბარი მასთან გადაგვაქვს. იგი წერილს გვაწვდის, რომელიც უტყუარი დოკუმენტია იმისა, თუ როგორი გატაცებით შეუდგა იგი მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვას.



ელისაბედ თუმანიშვილი



ელენე თუმანიშვილი

თბილისის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ელენე თუმანიშვილმა წერილი მისწერა ნადეჟდა კრუპსკაიას და რჩევას სთხოვდა, როგორ სჯობს, ბავშვი სკოლაში შვიდი წლის ასაკისა შევიდეს, თუ რვა წლისა, წერა ნაბეჭდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოებით დავაწყებინოთ თუ ხელნაწერითო... ამ ორი შეკითხვის გარდა იგი თავისი მუშაობის მეთოდის შესახებაც ატყობინებდა.

ხელთ გვაქვს კრუპსკაიას საპასუხო ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ძვირფასო ამხანაგო! მივიღე თქვენი წერილი, მაგრამ პასუხის გაცემა ძალზე მიძნელდება. O ჯგუფის საკითხი მე მიმაჩნია მეტად სერიოზულად, ხოლო სწავლის დაწყება რვა წლიდან, ვფიქრობ ძალზე ნაგვიანებია. ბავშვები ზოგჯერ უსისტემოდ ღებულობენ განათლებას, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გასდევთ. ვფიქრობ O ჯგუფი აუცილებელია, მაგრამ მუშაობის წარმართვა სულ სხვა მეთოდითაა საჭირო‟. აქვე მას მოჰყავს ლენინის სიტყვები: ,,სჯობს ნაკლები და უკეთესი‟.

მეორე კითხვაზე კრუპსკაია პასუხობს: ,,ვფიქრობ, წერის დაწყება უკეთესია ხელნაწერი შრიფტით, რომ ბავშვი გარანტირებული იყოს კარგი ხელწერით. ამასთან, საჭიროა ბავშვს გამოუმუშავდეს მოსმენის ჩვევა, ეს თქვენ ჩვენს გარეშეც იცით. მე ვფიქრობ, ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სიმღერას, კულტურულ თამაშობებს. უნდა ვიზრუნოთ ბავშვის ჯანმრთელობაზე‟.

ელენე სათუთად ინახავს კრუპსკაიას წერილს და ჩვენთან საუბარს განაგრძობს. ახლა იგი ბავშვობის ერთ-ერთ ეპიზოდს გვიყვება, თუ როგორ უშვებდნენ პირველ ვაჟთა გიმნაზიაში ჟურნალ ,,თავთავს‟. მაშინ მათ მეზობლად ცხოვრობდა კრასინსკების ოჯახი. ამ ოჯახის წევრი ემანუელ კრასინსკი ლექსების წერით იყო გატაცებული და დროდადრო აწვდიდა ჟურნალს პატარა ლექსებს. იგი ელენეს მეგობარი იყო. ისინი ხშირად მართავდნენ ერთად წარმოდგენებს. გავიდა დრო და კრასინსკების ოჯახი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად.

ორმოცდაათი წლის შემდეგ ელენემ მოსკოვის გაზეთ ,,სოვეტსკოე ისკუსტვოში‟ წაიკითხა, მოსკოვის სატირის თეატრის მთავარ რეჟისორს ემანუელ კრასინსკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭაო. ამ მოულოდნელმა ამბავმა ელენე აღაფრთოვანა, გულთბილი მილოცვა გაუგზავნა ძველ მეგობარს.

მალე პასუხიც მოვიდა. ,,არ დაგიმალავთ, ყველა მოლოცვებიდან, ზეპირი იყო ეს თუ წერილობითი, თქვენმა წერილმა ყველაზე მეტად ამაღელვა. თქვენ გამიღვიძეთ ბავშვობისა და სიყმაწვილის ძვირფასი მოგონებები. რა ძვირფასია, რა მშვენიერი და დამამშვიდებელი ის, რომ ქვეყნად არის შორეული მეგობარი, რომელთანაც გაკავშირებს ბევრი ნათელი, ლამაზი, თბილი მოგონება, ყველაფერი ის, რასაც ცხოვრების დასაწყისი, მშობლიური ოჯახი ჰქვია. მაგონდებით თქვენ და თქვენი მომხიბვლელი ოჯახი, ჩვენი სპექტაკლები, ჟურნალი ,,თავთავი‟, თქვენი სახლი და მის წინ მდგარი აკაცია, სადარბაზო შესასვლელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც შემორჩება ხოლმე ადამიანს სანეტარო მოგონებად‟.

...კიდევ ბევრი რამ მოვისმინე თუმანიშვილების ოჯახში. პატივისცემის გრძნობით დავტოვე მყუდრო ბინა, სადაც მოგონებებს ჩვენს დიდ კულტურაზე ერთ საუკუნეს მიტანებული მანდილოსნები აცოცხლებენ.

თამარ გომართელი



# წაუკითხეთ პატარებს

ავთანდილ მეგრელიშვილი

## ძუნწი ფისო

გელას ფისო მიირთმევდა
კერძს, თბილსა და წვნიანს,
ჩემი ფისოც იქვე იყო
და არ დაიწვია.



## ყურცქვიტები ქეიფობენ

— ყურცქვიტები ქეიფობენ!
— ნეტავ რა აქვთ ახალი?
— ციყვო, მაგას კითხვა უნდა?
კომბოსტო და ჭარხალი!



ლამარა რუსიშვილი

## დედოფალა

დედოფალა მიყიდეს,
დაავიწყდათ მთავარი:
კი არ ჰკითხეს, რა ჰქვია—
ნინელი თუ თამარი.

## პატარა მხატვარი

ძმამ საჩუქრად მომიტანა
საღებავი, ფუნჯი.
სულ პირველად მე დავხატე
ზღვა კამკამა, ლურჯი.

ახლა დიდ გემს ვაფერადებ,
დავამთავრებ მალე
და ნავსადგურს ხვალ დავხატავ,
დღეს კი დავიღალე.



## ბებიას გაფრთხილება

ეს კალათა პაწაწინა.
ზურამ დაწნა იფნის წნელით,
ამ კალათით ტყეში წავალთ,
სოკოს დავკრეფთ მე და ნელი.

ტყეში, მოლზე თეთრი სოკო
მოფენილა ფთილა-ფთილა.
,,სოკომ შორს არ გაგიტყუოთ‟, —
ბებომ ასე გაგვაფრთხილა.

ნელი დაოსაველიძე



## ლალი

თავს იწონებს, სარკეში
იჭყიტება ლალი;
ცხვირზე დასკუპებია
ჭუჭყის შავი ხალი.



## კოსმონავტი

მე ლამაზი კაბა მაქვს,
და კუნთები მაგარი.
მსურს კოსმოსში გავფრინდე —
გავუტოლდე გაგარინს.

ჩემს თოჯინას წავიყვან —
ლამაზს, ხუჭუჭთმებიანს,
და მარსიდან ჭიტაო —
დავუძახებ ბებიას.

# ბავშვებს დაცვა სჭირდებათ

დედამიწაზე 15 წლამდე ასაკის მილიარდზე მეტი ბავშვია. ყოველ წუთში მსოფლიოში სამი ბავშვი იბადება. ბავშვთა დაახლოებით $^3/_4$ ცხოვრობს დაბალი განვითარების ქვეყნებში.

ბავშვთა შრომა, მისთვის დამახასიათებელი სიმკაცრითა და ექსპლოატაციით, მე-19 საუკუნის ევროპისა და ამერიკის სამრეწველო რევოლუციისათვის უდიდეს სირცხვილს წარმოადგენდა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში აკრძალულია ბავშვთა სრულდღიანი შრომა, იგი მაინც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

ირანის ხალიჩების ფაბრიკაში უმეტესად 5-დან 14 წლამდე ასაკის გოგონები მუშაობენ. მათ სუსტ თითებზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოში სახელგანთქმული ხალიჩების წარმოებაში.

ხალიჩები იქსოვება უმზეო და ნესტიან საწარმოებში, იქ სადაც ძაფი ინარჩუნებს სიმკვრივესა და ხასხასა ფერს.

ზაფხულობით ამ საწარმოებში სულისშემხუთავი, ნესტიანი სიცხეა, ზამთრობით კი — სუსხიანი ყინვა.

გოგონები ფეხმორთხმულნი სხედან უხეშ, მოუხერხებელ სკამებზე. რამდენიმე წლის 12-14-საათიანი გამომფიტავი შრომისაგან ისინი ახალგაზრდობაშივე იღუპებიან.

აღრიცხულია, რომ ხალიჩების წარმოებაში 800.000-მდე ბავშვია.

იტალიის მთავრობა კრძალავს ბავშვთა შრომას და მოითხოვს სავალდებულო სასკოლო განათლებას. მიუხედავად ამისა, 300 ათასამდე იტალიელი ბავშვი მაინც იძულებულია იმუშაოს. ყოველდღე მუშაობს 14-წელზე ნაკლები ასაკის 180 ათასი ბიჭი და 93 ათასი გოგონა. არამუდმივად მუშაობს 68 ათასი ბავშვი.

სტატისტიკური ცნობებით, იტალიაში ყოველწლიურად 10-დან 15 წლამდე ასაკის 500-ამდე ბავშვი წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება.

დასავლეთ გერმანიაში სახეშელებილი 15 წლის გოგონები შუაღამემდე დგანან რესტორნებთან. 16 წლის გოგონები დილის 5 საათამდე მუშაობენ ღამის კლუბებში. არდადეგების გარდა მოსწავლეები მეცადინეობისაგან თავისუფალ საათებშიც სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში შრომობენ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში შემავალი ქალთა ორგანიზაციები თავიანთ ქვეყნებში აქტიურ მოძრაობას აჩაღებენ ექსპლოატაციისაგან ბავშვთა დასაცავად.

# ლექძამელი დედა

ცხაკაიას რაიონში არის სოფელი ლექძამე. აქ ცხოვრობს ათი შვილის დედა ნადე ბარკალაია. მისი ყველაზე უფროსი ქალიშვილი სრულწლოვანია, უმცროსი კი ხუთი წლისაა. დიდი შრომა დააწვა ნადეს, უქმროდ დარჩენილს ათი შვილი გაუხდა გასაზრდელი. ალბათ, ამ გაჭირვებამ გაუორკეცა ძალა, რომ ყველანი განაცვიფრა თავისი შრომისმოყვარეობით. შრომამ აამაღლა ნადე და გახადა საქვეყნოდ ცნობილი. ეს შრომისმოყვარეობა დედამ შვილებსაც ჩაუნერგა.

რაია დედასავით დაუზარელი და ენერგიულია. მისით ამაყობს არა მარტო ლექძამე, არამედ მთელი რაიონი. რაიამ სახელი გაითქვა ჩაის უხვი მოსავლის მიღებით. ხუთწლედის პირველ წელს სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. საგულდაგულოდ დაამუშავა 0,7 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 11.486 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მაღალი მოსავლის მიღებაში ახლა იგი პირველობას არავის უთმობს. წელს გადაწყვეტილი აქვს 12 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო" მოკრიფოს.

ჯერ ნორჩები არიან მომდევნო შვილები, მაგრამ მათაც ხშირად ნახავთ ჩაის პლანტაციებში. ნელიმ 1966 წელს მშობლიურ კოლმეურნეობაში 1.500 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, თინიკომ — 1.000 კილოგრამი. ცეროდენა ზაზაც არ ჩერდება სახლში, აედევნება დებს და ჩაის ბუჩქებში დანავარდობს.

ჯარასავით ტრიალებს კოლმეურნეობის ყანებსა და პლანტაციებში ათი შვილის დედა ნადე. 1966 წელს მან ერთი ჰექტარი სიმინდის ყანა დაამუშავა და, ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, 15 ცენტნერი მარცვალი შემატა კოლმეურნეობას. გარდა ამისა, აბრეშუმის მურიც გამოკვება და 50 კილოგრამი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.



— აბა, ნახეთ ახლა ბარკალაიების არმია რომ შეესევა ველ-მინდვრებს, ვინ დაუდგება წინ? — ამბობენ ლექძამელი კოლმეურნეები.

მართლაც, ნადე ბარკალაიას ოჯახს ბადალი არა ჰყავს ლექძამეში. მათ 15 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო" ჩააბარეს დედასამშობლოს 1966 წელს. საიუბილეო, 1967 წლისათვის 20 ტონას ჰპირდებიან. მათ ანგარიშზე იქნება სიმინდისა და აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი.

ხუთწლედის პირველ წელს ბარკალაიების ოჯახს 4.100 მანეთზე მეტი ერგო ფულად.

სახელმწიფოსაგან ნადე ბარკალაიამ, როგორც მრავალშვილიანმა დედამ, დახმარების სახით 3.346 მანეთი მიიღო. მას ეხმარება ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა, პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიურო, სასოფლო საბჭოს აღმასკომი, და ბარკალაიებიც ამ მზრუნველობას ენერგიული შრომით პასუხობენ.

ს. კუჭავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი სახლის კლუბი

პედიატრიის ანბანი

# რაქიტი და მასთან ბრძოლა

რაქიტის გამომწვევი მიზეზი ორგანიზმის Д-ვიტამინით გაღარიბებაა. ბუნებაში Д-ვიტამინი დიდი რაოდენობით გვხვდება თევზის ქონში, შედარებით მცირეა იგი კვერცხში, კარაქში და კიდევ უფრო მცირე— რძეში, თუმცა ძროხის რძესთან შედარებით ქალის რძეში მისი შემცველობა სამჯერ მეტია.

Д-ვიტამინის მნიშვნელოვანი რაოდენობა თვით ორგანიზმში წარმოიქმნება ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით კანის კაპილარებსა და ეპიდერმისში არსებულ ე. წ. ვიტამინის საწყისი ნივთიერებიდან — ქოლესტერინიდან.

ბავშვები რაქიტით ავადდებიან უმეტესად პირველი წლის განმავლობაში. რაქიტის სიხშირეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის კვების წესი: ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებში იგი გაცილებით ხშირია, ვიდრე ბუნებრივი კვების დროს. ბავშვის არასაკმაო უზრუნველყოფა ჰაერით, მზის სხივებით ნაკლები სარგებლობა, უმოძრაობა, აკვანში წოლა, კუჭ-ნაწლავის გახანგრძლივებული აშლილობანი და სხვა ხელშემწყობ პირობებს ჰქმნის ამ დაავადების განვითარებისათვის.

Д-ვიტამინის ნაკლებობის გამო ორგანიზმში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, კერძოდ, მარილების ცვლა, მცირდება ჟანგვითი პროცესები, ძლიერდება ფოსფორისა და კალციუმის მარილების გამოდევნა ორგანიზმიდან, რის გამოც ფერხდება მათი ძვლებში ჩალაგების პროცესი, ძვლები რბილდება და ადვილად განიცდის დეფორმაციას.

დაავადების პირველი ნიშნები მჟღავნდება ორი-სამი თვის ასაკში, უპირველესად, ნერვული სისტემის მხრივ. ბავშვი მოუსვენარი ხდება, ეცვლება ხასიათი, ზედმეტად ჟინიანობს, ანჩხლობს, არ იძინებს. დამახასიათებელია ძლიერი ოფლიანობა (განსაკუთრებით, კეფის არეში), რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება ძილისა და ძუძუს წოვის დროს. არაიშვიათია კეფის მიდამოში თმის გაცვენა და გამელოტება. ზოგჯერ, განსაკუთრებით აკვანში წოლისას, ადგილი აქვს კეფის ძვლის გაბრტყელებას. შორსწასულ შემთხვევაში კეფის ძვალი რბილდება, რის გამოც ხელის დაჭერისას ადვილად იზნიქება და პერგამენტის შთაბეჭდილებას ჰქმნის. დარბილებას განიცდის ყიფლიბანდის ირგვლივ ძვლის კიდეებიც.

უფრო მოგვიანებით შუბლისა და თხემის მიდამოში აღინიშნება ძვლოვანი შემსხვილებები, ე. წ. „რაქიტული ბორცვები", რომლებიც შუბლისა და თავის ქალის სხვადასხვაგვარ დეფორმაციას იწვევენ (ე. წ. „ოლიმპიური შუბლი", „უნაგირა თავი", „კვადრატული თავი" და სხვა).

კალციუმის ნაკლებობის გამო გვიანდება თავის ქალის ნაკერებისა და ყიფლიბანდის გაძვალება, კბილების ამოჭრა. ხშირია კბილების ამოჭრის რიგის დარღვევა და მისი მეჩხერი განლაგება. მინანქრის ნაკლები შემცველობის გამო რაქიტულ ბავშვებს კბილები შედარებით ადვილად უზიანდებათ.

შემდეგში ცვლილებებს განიცდის გულმკერდის ძვლებიც. მათი გარბილების გამო არაიშვიათია შეზნექა მკერდის არეში (ე. წ. „მეწაღისებური გულმკერდი"), ან, პირიქით, მისი გამოზნექა („ქათმისებური გულმკერდი").

თუ ბავშვს გამუდმებით ცალ ხელზე ატარებენ და ჯდომას ნაადრევად აწყებინებენ. მას უვითარდება ქვემო კიდურების დეფორმაცია, მისი შეზნექა ან გამოზნექა ე. წ. O-ს მაგვარი ან X-ის მაგვარი ფეხები, ტერფის გაბრტყელება და სხვა.

ზოგჯერ, განსაკუთრებით აკვნის ბავშვებში, მენჯის ძვლების გაბრტყელებაც ხდება, და შემდეგ, როცა გოგონა იზრდება, მშობიარობის პროცესში ეს ნაკლი თავს იჩენს.

ძვლოვანი სისტემის გარდა, რაქიტის დროს სხვა ორგანოებიც ზიანდება. კუნთთა ტონუსი ქვეითდება, სახსრები ზედმეტად მოქნილია, რის გამოც ბავშვი ადვილად ახერხებს ფეხის თავთან მიტანას, ღვიძლი და ელენთა იზრდება, მუცლის კუნთების ატონიისა და ღვიძლისა და ელენთის ზრდის გამო მუცელი ძლიერ დიდდება.

გულმკერდის ფორმის ცვლილებები გავლენას ახდენს სისხლის მიმოქცევასა და გულის მუშაობაზე, რის გამოც ხშირია კანის ვენური ქსელის გაფართოება, გულის საზღვრების გადიდება და სხვა.

კუნთოვანი ტონუსის დაქვეითება ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფერხებასაც იწვევს. სწორედ ამიტომ რაქიტული ბავშვები გვიან იწყებენ ჯდომას, დგომასა და სიარულს.

2-8 წლის ასაკიდან რაქიტული ცვლილებები თანდათან მცირდება, ნაწილი მთლიანად ჰქრება, ხოლო ნაწილი მძიმე დეფორმაციების სახით ხშირად სამუდამო კვალს აჩენს ბავშვის ორგანიზმს.

რაქიტი აქვეითებს ორგანიზმის გამძლეობას. რაქიტული ბავშვები ხშირად ავადდებიან ფილტვების ანთებით, კუჭნაწლავის აშლილობით და სხვა. ამავე დროს, ეს დაავადებანი მათში შედარებით მძიმედ და ხანგრძლივად მიმდინარეობს და ხშირად გავლენას ახდენს დაავადების გამოსავალზე ანუ პროგნოზზე.

როგორ დავიცვათ ბავშვები რაქიტით დაავადებისაგან?

ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე ყურადღება უნდა მიექცეს დედის კვებას და სუფთა ჰაერითა და მზის სხივებით ფართოდ სარგებლობას ორსულობის პერიოდში. ორსულობის უკანასკნელ თვეებში ქალს უნდა დაენიშნოს თევზის ქონი 1-2 სუფრის კოვზი ან $Д_2$-ვიტამინი—500 ერთეული დღე-ღამეში.

შემდეგში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბავშვის კვება. თუმცა დედის რძით კვება რაქიტით დაავადებისაგან თავდაცვის სრულ გარანტიას არ იძლევა, მაგრამ, კვების სხვა წესთან შედარებით, მას დიდი უპირატესობა აქვს, ამიტომ აუცილებელია ბრძოლა ბუნებრივი კვების შენარჩუნებისათვის პირველ 3-4 თვის განმავლობაში მაინც. ხელოვნურ კვებაზე გადასვლას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ.

უკვე მეორე თვიდანვე ბავშვს უნდა დაენიშნოს ხილეულისა და ბოსტნეულის წვენი (ვაშლის, მანდარინის, ხტაფილოსი და სხვა), დროულად უნდა მიეცეს ხილეულისა და ბოსტნეულის პიურე, მეოთხე თვიდან — კვერცხის გული. აუცილებელია კვების რეჟიმის ზუსტი დაცვა და დამატებითი საკვების (ფაფების, სუპეულის, ბულიონის, ხორცის ფარშის) დროულად დანიშვნა.

ბავშვი თავიდანვე უნდა მივაჩვიოთ საწოლში თავისუფალ ძილს. აკვანში ჩაწვენა და მჭიდროდ გახვევა არაა რეკომენდებუ-

ლი. ბავშვის ოთახში ჰაერი ხშირად უნდა იწმინდებოდეს, ბავშვი სისტემატურად უნდა გაგვყავდეს ჰაერზე, თუ ამის საშუალება დღე აივანზე ვაძინებდეთ.

5-6 თვემდე ბავშვი ყოველდღიურად უნდა დაიბანოს, 6-დან 12 თვემდე — დღეგამოშვებით, 1 წლის შემდეგ — კვირაში 2-3-ჯერ. კარგ შედეგს იძლევა ჰაერის აბაზანები, რისთვისაც დაბანის წინ, თუ ოთახში საკმარისია სითბო, ბავშვი 3-5 წუთით შიშველი უნდა დავტოვოთ, ზაფხულის პერიოდში ჰაერის აბაზანები შეიძლება ჩავატაროთ აივანზე. უშუალოდ მზის აბაზანების გამოყენება ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში არაა მიზანშეწონილი. მზის აბაზანები ინიშნება რაქიტის მკურნალობის მიზნით ერთი წლის ასაკის ზემოთ. 3-4 თვიდან კარგია მსუბუქი მასაჟი ან ვარჯიში. 7-8 თვიდან — დაზელვა ოთახის ტემპერატურის წყალში დასველებული გაწურული ტილოთი. ერთი წლიდან შეიძლება შხაპის გამოყენება, ორი წლის ზემოთ დასაშვებია წყალში ცურვაც. კარგ შედეგს იძლევა კვარცით დასხივება, განსაკუთრებით, ზამთრის თვეებში, როცა ნაკლებია მზიანი დღეები. სამკურნალო მიზნით გამართლებულია ზღვის მარილის აბაზანებიც.

მაგრამ, რაც მთავარია $1$-$1^1/_2$-თვიდან ბავშვს აუცილებლად უნდა დაენიშნოს თევზის ქონი ან $Д_2$-ვიტამინი. თევზის ქონის დანიშვნას ვიწყებთ წვეთობით და თანდათანობით (3-4 თვის ასაკში) ავდივართ 1 ჩაის კოვზამდე — 1-2-ჯერ დღეში. თუ ბავშვს მიდრეკილება აქვს კუჭის აშლილობისაკენ, უმჯობესია $Д_2$-ვიტამინის სპირტიანი ხსნარის დანიშვნა (1-2 წვეთი დღეში), თუ ბავშვს ყაბზობა აქვს, უკეთესია $Д_2$-ვიტამინის ზეთოვანი ხსნარის მიცემა (2-4 წვეთი დღეში). ამასთან ერთდროულად ინიშნება კალციუმის პრეპარატები. უკანასკნელ ხანებში წარმატებით იხმარება ლიმონმჟავა ნატრიუმის ხსნარი. ამ პრეპარატების მიცემის ხანგრძლიობას განსაზღვრავს უბნის ექიმი, რისთვისაც მიზანშეწონილია პერიოდულად მივმართოთ მას.

რაქიტის უკვე გამომჟღავნებული ფორმების დროს მკურნალობა ტარდება ამავე პრეპარატებით, მაგრამ უფრო მოზრდილი დოზებით — ეს დამოკიდებულია დაავადების ფორმასა და სიმძიმეზე. ამ შემთხვევაში ბავშვისათვის საჭირო ზომის ზუსტად დადგენისა და მკურნალობის ხანგრძლიობის განსაზღვრის მიზნით, უმჯობესია მივმართოთ უბნის პედიატრს, რადგან, როგორც ბოლო ხანებში ირკვევა, $Д_2$-ვიტამინის გადაჭარბებით მიღებამაც შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგი.

ამრიგად, ბავშვის კვებისა და ჰიგიენის ძირითადი პრინციპების ზუსტი დაცვა, მუდმივი კონტაქტი უბნის პედიატრთან საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ჩვილ ბავშვთა რაქიტით დაავადება.

დოცენტი **ნ. ხერხეულიძე**

# ბავშვი და ალკოჰოლი

— ვალერიკი მეღუპება! — დამირეკა ტელეფონით შეშფოთებულმა ნაცნობმა ქალმა და აქვითინდა.

როცა მე მათთან მივედი, შვიდი წლის ვალერიკს ეძინა. თვალში მომხვდა მისი უჩვეულო სიგამხდრე და ამოღამებული თვალები. მშობლები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ისინი ბრალს სდებდნენ სამ ექიმსა და ერთ პროფესორს, რომლებმაც, მათი სიტყვით, ვერ შესძლეს დაედგინათ ბავშვის პროგრესულად მიმდინარე ავადმყოფობის მიზეზი.

— ყოველნაირი წამალი ვცადეთ,—ამბობდა ინა მიხეილის ასული, — შვილს ორგანიზმსაც ვუწრთობთ, რეჟიმსაც ვიცავთ, მაგრამ არაფერი შველის.

უცბად ბიჭის ხმა გაისმა:

— მურაბიანი ჩაი მინდა...

მშობლები და ბებია ბავშვს ეცნენ. ინამ ბოთლიდან რამდენიმე წვეთი კონიაკი ჩაასხა ფინჯანში, რომელშიც შვილს ჩაის უმზადებდა.

— როგორ, კონიაკს აძლევთ?

— ნუ შიშობთ, ექიმო, ეს სუფთა ყურძნის სასმელია. მხოლოდ ჩაისა და კისელს ვუმატებ, ამასთან ერთ ბეწოს.

— დიდი ხანია ასე იქცევით?

— დაახლოებით ერთი წელია. ერთმა ნაცნობმა მირჩია.

კონიაკის სამკურნალო თვისებებში ურყევად იყვნენ დარწმუნებულნი ბიჭის მშობლები, შევეცადე გადამერწმუნებინა და მოვყევი ერთი ამბავი, რომელიც ჩემს მეგობრებს შეემთხვათ:

ერთერთი ოჯახური დღესასწაულის დროს, ორი მოწაფე თვალყურს ადევნებდა, როგორ სვამდნენ უფროსები კონიაკს. ისინი სამზარეულოში განმარტოვდნენ და ნაძლევზე შესვეს კონიაკი. ერთი მათგანი იმ წუთშივე დაეცა და არაბუნებრივად ღრმა ძილს მიეცა. მეორეს კრუნჩხვა დაეწყო, სახე გაულურჯდა. დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ ერთს ვეღარაფერი უშველეს, იგი გარდაიცვალა.

— ბევრი დალიეს? — იკითხა ბებიამ.

— მხოლოდ თითო პატარა ჭიქა.

შემდეგ მათ ვესაუბრე ექსპერიმენტული მეცნიერების მონაცემების შესახებ: ცდების დროს ზღვის ღორებს სისტემატურად უმატებდნენ საჭმელში ალკოჰოლს. რის შედეგად 100 მოზარდიდან 89 დაიღუპა, ხოლო გადარჩენილები ცუდად ვითარდებოდნენ, ხშირად ავადმყოფობდნენ.

წლების მანძილზე დაკვირვებას ვაწარმოებ ბავშვებზე, მათ ზრდა-განვითარებაზე.

მოზარდები სპირტიან სასმელებს, როგორც წესი, პირველად ოჯახში ხედავენ საზეიმო შემთხვევების დროს. ამ ოჯახურ „ტრადიციას“ შემდგომში ისინი ადვილად ეჩვევიან, ახალგაზრდები კი უკვე სვამენ სხვადასხვანაირი საბაბითა და უსაბაბოდაც.

ზოგჯერ პატარებიც უჯახუნებენ ერთმანეთს სასმისებს ოჯახში, მართალია, ამჯერად მათ ჭიქებში ლიმონადია, მაგრამ ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს: ბავშვს გამოუმუშავდეს არაჯანსაღი რეფლექსი.

ვალერიკის მშობლებმა ჩემს რჩევას დაუჯერეს. საჭირო შეიქნა ბავშვის კლინიკაში მოთავსება. როგორც გამოირკვა, ალკოჰოლის მოქმედების შედეგად ბიჭს შეშუპებოდა ლიმფური ჯირკვლები და ნაწლავების ლორწლოვანი გარსი. წარმოქმნილიყო კუჭის წვენის მეტისმეტად მაღალი მჟავიანობა და ანთება, შეინიშნებოდა კუჭის ლორწოვანი გარსის გამსხვილება, რასაც შეიძლებოდა წყლული მოჰყოლოდა.

ძველ საბავშვო სამედიცინო სახელმძღვანელოში მოცემულია ბავშვებსა და მოზარდებში ღვიძლის ალკოჰოლური ციროზის მძიმე შემთხვევების ზუსტი კლინიკური აღწერა. პირველად ღვიძლი როგორღაც იბერება, შეეზრდება შემაერთებელ ქსოვილსა და ქონს, შემდეგ კი ნაოჭდება. ავადმყოფს ეწყება ქოშინი და ტკივილები.

ალკოჰოლიზმი მემკვიდრეობითი სენი როდია. ხშირ შემთხვევაში მისი მიზეზი ცუდი მაგალითია. ისიც უდაოა, რომ ლოთების შვილები ფიზიკურად და გონებრივად განუვითარებელნი არიან, განსაკუთრებით სერიოზული დარღვევები აქვთ მათ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. არსებობს იმის მონაცემებიც, რომ ალკოჰოლისტთა შვილების 61 პროცენტი ეპილეფსიით არის დაავადებული.

ალკოჰოლი სისხლში შედის ნაწლავებისა და ლიმფური ძარღვების გზით. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ იგი აღმოჩნდება არა მარტო არტერიულ და ვენურ სისხლში, არამედ ლიმფური ძარღვების მთავარ ღეროშიც.

უაღრესად მგრძნობიარე ტვინის უჯრედები ელვისსისწრაფით იღებს ალკოჰოლს, როგორც სპეციფიკურ ნერვულ ნარკოტიკს. ერთბაშად ხშირდება პულსი, დიდდება გულის შევიწროვება, შემდეგ კი დაბლა იწევს არტერიული წნევა. მართალია, ძლიერი სიმთვრალე მოზარდს დიდხანს არ გაჰყვება, მაგრამ მეტისმეტად მძაფრად და მღელვარედ ვლინდება, მას თან სდევს მამოძრავებელი კუნთების აღგზნება, შფოთვა, ზოგჯერ კონვულსიური კრუნჩხვები.

ვალერიკი იღბლიანი გამოდგა. იგი გამოჯანსაღდა. მისი მშობლებიც მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. მაგრამ ხომ არიან მათი მსგავსი მშობლები?

**ლ. ბოგდანოვიჩი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
**„ნედელია“.**

კ. გოგიაშვილი

# ჰაიდა

## მამიდა

ფელეტონი

რაც როლანდი დაიჭირეს,
ხუთი წუთი გავიდა,
ტელეფონი აწკრიალდა,
აწრიალდა მამიდა;
— რაო, ბიჭო, მილიცია?
ვერ გავიგე, სადა ხარ?
დაგიჭირეს?
— მორიგე ვარ,
ორი კაცი გალახა!
— ვინ, როლანდმა?
— დიახ, დიახ...
— გამოუშვით, გენაცვა...
— კვლავ ხულიგნობს...
— ნუ ყვირი და,
დაიმოკლე ენაცა.
შენ არ იცნობ მაგის ოჯახს,
პროფესორის შვილია,
სათუთად და წესიერად
გახლავთ გამოზრდილია.
ორი კაცი გალახაო?
მკვდრები იყვნენ ოხრები?
მაგათ ვიცნობ... ჩვენი გვარის
მოყვრებია, მოყვრები!
გესმის, კაცო? არ დაჭკიდო,
გამიგონე, მორიგე! —
და მამიდა სულ დარბოდა
თვე და ოცდაორი დღე...
ტელეფონი აწკრიალდა,
აწრიალდა მამიდა:
— ივეტა ხარ? გენაცვალე,
„საჩუქარი" არ გინდა?
მომეშველე, დამეხმარე,
წადი მილიციაში,
როლანდი ყავთ ჩაწერილი
ხულიგნების სიაში,
რა უქნია? არაფერი,
ენაცვალოს მამიდა,
თითქოს სხვისთვის კინკრიხოში
დაეთხლიშოს მაგიდა.
არაფერი მაგის მსგავსი,
ბავშვს ტყუილად ერჩიან,
მუცლებში რომ ხმა ჩაეგდოთ,
ათასწილად ერჩიათ.
ჩემი მული დაფინე
ბიძამისთან ვაფრინე,
ჟანეტა და ლიდია
ახლა „ზევით" მიდიან.
ვინცხამ მტრობით უყელა,
გვეხმარება სუყველა:
ვაჟა, კაკო, გრიშა.
სონიჩკა და მიშა;
ნუნუ ეტყვის სანდროს,
დიდ კაცსა და სანდოს,
სანდრო თომას, თომა ოლას,
ოლა ვანოს, ვანო კოლას,
კოლა გოლას, გოლა უჩას,
წამოვიყვანთ მთელ ჩვენს ქუჩას,
და მოხდება ფაქტი:
დაიხევა აქტი.
ტელეფონი აწკრიალდა,
აწრიალდა მამიდა:
დედაც, მამაც და თვითონაც
საით აღარ წავიდა.
„ზევით" ახტა, ქვევით ჩახტა,
ველარ იცნობთ, ისე გახდა.
დარბის, რეკავს:
ალო, ეკა,
შენ ხარ, კატო?
ვერ წახვედი?
რატომ, რატომ?
მაშ, აღარც თქვენ გაგახარებთ,
ყველას მიწა დაგაყარეთ.
გამოვიყვან ჩვენს ბავშვს როდის?
არაფერი არ გამოდის...
ვივლი დღითაც, ღამითაც,
ენაცვალოს მამიდა!

# თურმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერის შემდეგ მაყურებლებმა ყვავილები მიართვეს მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს, მაგრამ ვიღაცამ თივა მიაყარა. როდესაც ხალხი მიწყნარდა, მსახიობმა ამ უკანასკნელს მიმართა. დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ როგორ გაიმეტეთ თქვენი საკვები?

—:—

ინგლისის მეფემ ჰენრიხ მერვემ უბრძანა თავის მინისტრს თომას მორს, ცნობილი წიგნის — „უტოპიის" ავტორს, წასულიყო პარიზში და საფრანგეთის მეფისათვის წარედგინა ნოტა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა მორმა, — თქვენ ხომ იცით, როგორი ფიცხია საფრანგეთის მეფე: ის ხელად თავს წამაცლის!

— ნუ გეშინია, თუ ის ამას ჩაიდენს, მე ვბრძანებ, თავები მოჰკვეთონ ინგლისში მცხოვრებ ყველა ფრანგს.

— ძალიან კეთილი ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ვშიშობ, რომ არც ერთი ფრანგის თავი არ მოერგება ჩემს მხრებს...

* * *

ერთმა ახალგაზრდა ქალმა გამოჩენილ ფრანგ კომიკს — ფერნანდელს ავტოგრაფი სთხოვა და გაუწოდა ქაღალდის ნაგლეჯი.

— რატომ არა გაქვთ ალბომი? — ჰკითხა ფერნანდელმა.

— როგორ არა, სახლში მაქვს. მივალ და გადავწერ, — უპასუხა ქალმა.

—:—

ერთ კუნძულზე არის ასეთი წესი: ქორწინების წინ საქმრო მთელი ღამის განმავლობაში ცალ ფეხზე უნდა იდგეს „შეყვარებულთა კედელზე", რომელიც 250 მეტრის სიმაღლეზეა აღმართული ატლანტიის ოკეანის პირას. ოდნავი გადახრა და — საქმრო კლდეზე გადაიჩეხება. ამიტომაა ამ კუნძულზე იშვიათი განქორწინება... მხოლოდ ნამდვილი შეყვარებული გასწევს ასეთ რისკს.

თარგმნა მერი მასხარაშვილმა

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობითი ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V, 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000, შეკვ. № 1760, უე 02113. ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფოტოეტიუდები ნ. ბაბიჩის













ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178